პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 10 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 34 (2077)

დღიური

- ვიკონტი გოტო განსაცვიფრებლად თვლის საბჭ. კავშირის მიღწევებს.
- ბრძოლის გამწვავება პან-ამერიკულ კონფერენციაზე.
- დიდი დემონსტრაციები ლიონში (საფრანგეთი).
- მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში.
- მუშების დემონსტრაცია მაკდონალდის წინააღმდეგ.
- ჩემბერლენის განცხადება განიარაღების შესახებ.
- გლეხთა მოძრაობის გაძლიერება მანჯურიაში.
- ოთხი მილიონი უმუშევარი შეერთებულ შტატებში.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის
ცენტრალური კომიტეტის მეორე
პლენუმი
ს. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების
მდივნებთან ერთად
შესდგება დღეს, 10 თებერვალს
საღ. 6 საათ. სასახლის წითელ დარბაზში
ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი**

ევროპა არჩევნების წინ

ახლო მომავალში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. საკმაო ხანია რაც იქ ფართე საარჩევნო კამპანიაა გაშლილი. როგორია კაპიტალისტურ მსოფლიოში ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს ამ კამპანიის შინაარსს და მის შედეგებს?

ეს მდგომარეობა პირველ ყოვლისა ხასიათდება შრომისა და კაპიტალ შორის ბრძოლის უაღრესი გამწვავებით. კაპიტალისტები გააფთრებულ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ. სამუშაო დღის გადიდება, ისედაც დაბალი ხელფასის შემცირება—აი, რის მოწმენი ვართ ჩვენ ყველგან კაპიტალის სამფლობელოში.

შრომის მატერიალურ პირობების გაუარესებასთან ერთად, ბურჟუაზია აძლიერებს იერიშებს პროლეტარიატის პოლიტიკურ მონაპოვრებზედაც. ის ცდილობს მუშათა კლასს მოუსპოს კლასობრივ ბრძოლის უფლება და შესაძლებლობა. კანონი პროფ. კავშირების წინააღმდეგ ინგლისში, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების უფლებების შეკვეცა გერმანიაში და მრავალი სხვა—ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

ამავე დროს მწვავდება წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის. ვერსალის „ზავით" შექმნილი სისტემა სულ უფრო აუტანელი ხდება, კერძოდ რა თქმა უნდა გერმანიისათვის. შტრეზემან-ბრიანის დიპლომატიურმა შეკამათებამ, რომელსაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი, ერთხელ კიდევ ცხადჰყო გერმანია - საფრანგეთის შეურიგებლობა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობისათვის ინგლის-ამერიკის ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის. ორივე მხარე აშკარად ემზადება მომავალი აუცილებელი ომისათვის. საერთოდ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო გახვეულია ტერიტორიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ქსელში, რომელთა „გადაჭრა" იმპერიალისტებს, ცხადია, მხოლოდ იარაღით შეუძლიათ, ამიტომაა რომ ყველგან ვხედავთ შეიარაღების არაჩვეულებრივ ზრდას, მიუხედავად მშვიდობიანობისა და განიარაღებაზე თვალთმაქცური ლაყბობისა.

კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულების გართულება თავის მხრივ იწვევს მუშათა მასებზე შეტევის ზრდას. ჯერ ერთი, უცხოეთის ბაზრის დაპყრობისათვის კონკურენციაში გასამარჯვებლად მოწინააღმდეგენი ატარებენ კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, ე. ი. აძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას; შემდეგ: ისინი ცდილობენ გასტეხონ პროლეტარიატის წინააღმდეგობის ძალა და ამ გზით ზურგი გაიმაგრონ ერთმანეთთან ომის შემთხვევისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმპერიალისტების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც ისევ გრძელდება, და ბრძოლა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

ასეთია მდგომარეობა საპარლამენტო არჩევნების წინ. როგორია რეფორმისტების დამოკიდებულება აღნიშნულ მოვლენებისადმი? რეფორმისტების შემდგომი და გადაჭრილი გამემარჯვენება, მათი აშკარა გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე უდავო ფაქტია. „მრეწველობაში მშვიდობიანობის" დამყარების კამპანია ინგლისში, ე. ი. მრეწველებისათვის მუშების უფრო დამონების კამპანია, რასაც გენსაბჭო მეთაურობს, გერმანელ სოციალ-დემოკრატების გამცემლობა მელითონეთა გაფიცვის დროს და ფაბ.-ქარხ. კომიტეტების წინააღმდეგ მიმართულ კანონის საკითხში და სხვა მსგავსი ფაქტები ამას მჭერმეტყველურად ადასტურებენ.

ამასთან, სოციალ-შეთანხმებელნი თავის „მშობლიურ მთავრობებს" აქტიურად უჭერენ მხარს მათ იმპერიალისტურ პოლიტიკაში. ანტისაბჭოთა კამპანიაში, ჩინეთის ინტერვენციაში, ინდოეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და სხ.

ყველაფერი ეს იწვევს პროლეტარულ მასების გამემარცხენებას. ისინი თანდათან შორდებიან გამყიდველ ბელადებს და კომპარტიის გარშემო ირაზმებიან. ამის მაჩვენებელია მასიური მოძრაობა „მრეწველობაში მშვიდობიანობის" ჩამოგდების წინააღმდეგ ინგლისში, კომუნისტების წარმატება მთელ რიგ ქვეყნებში მომხდარ მუნიციპალურ და პროფორგანოების არჩევნების დროს.

აქედან არის გამოწვეული ის, რომ სოციალ - გამცემლები, კაპიტალისტებსა და მათ მთავრობებთან ერთად, სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ კომუნისტების და საერთოდ მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ. მაგ., ინგლისის მუშათა პარტიიდან რიცხავენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ იმ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებსაც; უკანასკნელთ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ისინი საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტების კანდიდატებს უჭერენ მხარს.

ებრძვიან რა მემარცხენე ელემენტებს, რეფორმისტები მომავალ არჩევნებში თავის მთავარ იმედს ამყარებენ წვრილბურჟუაზიულ ფენებზე, მუშათა არისტოკრატიაზე და პროლეტარიატის ჩამორჩენილ ნაწილზე. ამ გზით ცდილობენ ისინი არჩევნებში გამარჯვების მოპოვებას, ან ყოველ შემთხვევაში ბურჟუაზიასთან ერთად კოალიციონურ მთავრობაში შესვლას.

ისინი ზოგან „მუშათა" მთავრობის მოლოდინში იმყოფებიან (მაგ., ინგლისში), ან ბურჟუაზიულ სამინისტროებში ცალკე სამინისტრო პორტფელების მიღებაზე ოცნებობენ (გერმანიაში, საფრანგეთში). მაგრამ კიდეც რო მოხდეს ასე, რა შედეგი მოყვება ამას? ჩვენ უკვე გვაქვს მაკდონალდის „მუშათა" მთავრობის გამოცდილება. ბურჟუაზიამ შეიძლება რეფორმისტები ძალა-უფლების სათავეში დროებით დაუშვას, რომ მათ დააკისროს პასუხისმგებლობა კაპიტალისტური სტაბილიზაციის გატარებისათვის და საერთოდ მათი საშუალებით თავის შერყეული მდგომარეობა გამოასწოროს, ხოლო ფუ „მუშათა" მთავრობა მასების გავლენით კრინტს დასძრავს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებებზე და კაპიტალისტების მადის თუ გინდ ოდნავ შეზღუდვაზე, მას ყურს აუწევენ და უცერემონიოდაც გაგდებენ.

ყველაფერი ეს გვიჩვენა მაკდონალდის მთავრობის ისტორიამ. და თუ ეს ვინმესთვის კიდევ არ იყო საკმარისი „მუშათა" მთავრობის ნამდვილი ღირებულების და როლის შესახებ ბურჟუაზიის ბატონობის დროს, ეხლა ჩვენ მეორე მაგალითი გვაქვს ნორვეგიელი მაკდონალდების სახით. უკვე მოვიდა ცნობა ხორნსრუნდის სოციალ - დემოკრატიულ მთავრობის დამხობის შესახებ. მისი დეკლარაცია, რა თქმა უნდა, შორს იყო რევოლიუციონურ პროგრამიდან, მაგრამ ის, ცხადია, მაინც არ დაუჯდა ჭკუაში ბურჟუაზიას და პანღური კრა მას. ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ სისულელე ან მასების აშკარა მოტყუილებაა ლაპარაკი პარლამენტარული გზით, არამედ „მშვიდობიანად სოციალიზმში გადასვლაზე", რაზედაც ლაყბობა ასე უყვართ მაკდონალდებს, არამედ მუშათა კლასის ცხოვრების პირობების მცირეოდენ გაუკეთესებაზეც.

ასე, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია რაიმე ილიუზიებს მიეცეს „მუშათა" მთავრობასთან დაკავშირებით, პირიქით, ასეთი მთავრობა დაბრკოლება იქნება მისი რევოლიუციონური ბრძოლის გაშლისათვის. რევოლიუციონური პროლეტარიატი კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩაებმება არჩევნებში არა მაკდონალდ - ხორნსრუდისტების „მუშათა" მთავრობის შედგენის, არამედ რეფორმისტების მოღალატეობის შეუბრალებელი მხილების და მასების მობილიზაციის მიზნით, რომ უფრო გადაჭრით აწარმოოს ბრძოლა კაპიტალის შემოტევასთან და ნიადაგი მოუმზადოს ნამდვილ მუშათა ხელისუფლების დამყარებას.

დეტერდინგს ეცლებიან უკანასკნელი მოკავშირეები

ნავთის ტრესტი „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსი" დეტერდინგის წინააღმდეგ

ახლო ხანში დაიწყება გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკება ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ

გერმანიის ლითონის მრეწველობის პატრონები საყოველთაო ლოკაუტის გამოცხადებას აპირებენ

დეტერდინგს მოკავშირეები ეცლებიან

შეთანხმება შეუძლებელია.

ბერლინი, 8 თებერვალი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობით, **ხმები ინგლის-ჰოლანდიის და ამერიკის ნავთის მაგნატების მომავალ შეთანხმების შესახებ, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მათ ბრძოლას საბჭოთა ნათისთვის, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამერიკელები სრულიადაც არ აპირებენ კომპრომისზე წასვლას დეტერდინგის მიმართ.** (ადს).

„საზღვაო კონფერენცია".

ნიუ - იორკი, 8 თებერვალი როგორც ირკვევა, ნიუ-იორკში ამერიკის და ინგლისის ზოგიერთ ნავთის მრეწველთა შორის გამართული თათბირი, რომელსაც „ნიუ-იორკ ტაიმს"-ი უწოდებს „საზღვაო კონფერენციას" (როიალ დეჩ შელსა და სტანდარტ ოილს შორის წამოჭრილ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად), პირიქით **ამზადებს ნავთის ტრესტების ბრძოლის გამწვავებას.** საქმიან წრეებში აღნიშნავენ, რომ „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსი," რომელიც წინად გმობდა **„სტანდარტ ოილ ნიუ-იორკ"-ის მიერ საბჭოთა ნავთის შესყიდვას, ამჟამად ნიუ-იორკის ტრესტს უჭერს მხარს დეტერდინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.** (ადს).

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების წინ

საბჭოთა დელეგატები ბერლინში.

ბერლინი, 8 თებერვალი. ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი **შლეიფერი,** საბ. კავშირის სახ. კომისარიატის სახელშეკრულებო-საუფლებო სამმართველოს უფროსი **კაუფმანი** და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ეკონომიურ-საუფლებო განყოფილების სავაჭრო პოლიტიკის ქვეგანყოფილების გამგე **როზენბლიუმი,** რომლებიც საბჭოთა მთავრობამ გამოგზავნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ

პრესა მოლაპარაკების შესახებ.

ბერლინი, 8 თებერვალი. გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალ სავაჭრო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, გაზეთები ათავსებენ წერილებს საბჭოთა კავშირთან საქმიან და სავაჭრო ურთიერთობის პრობლემის შესახებ.

„ინდუსტრი უნდ ხანდელსცეიტუნგ" სწერს: „გერმანიის ეკონომიურ წრეებისათვის უხერხულობა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი მისი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გამო თავის დაკვეთებს ყოველთვის ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით კი არ ანაწილებს, არამედ ზოგჯერ ხელმძღვანელობს პოლიტიკური მოსაზრებით ვაჭრობის არახელსაყრელი შედეგების გასაუმჯობესებლად. რუსეთს აქვს მხოლოდ ერთი საშუალება: იკისროს ვალდებულება შეზიდოს განსაზღვრული კონტინგენტები. კონტინგენტის დაწესების დროს რუსეთის ვალდებულება გერმანიიდან საქონლის გატანის შესახებ დაკავშირებულ იქნეს რუსეთის საქონლის ექსპორტთან გერმანიაში. (ადს).

მზადდება ლოკაუტი გერმანიის მთელ ლითონის მრეწველობაში

7 მრეწველი 500.000 მუშის წინააღმდეგ

ბერლინი. 8 თებერვალი. სრულიად გერმანიის ლითონის მრეწველთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა ყოველივე საშუალებებით მხარი დაუჭიროს შუა გერმანიის ლითონის მრეწველებს და მოხერხებულ მომენტში გამოაცხადოს ლოკაუტი გერმანიის მთელს ლითონის მრეწველობაში. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად პლენუმმა დაადგინა შექმნას სპეციალური კომისია 12 წევრის შემადგენლობით, რომელნიც აღჭურვილ უნდა იქნენ სათანადო რწმუნებებით. კავშირის ეს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა იმ მოლაპარაკებაა წინ, რომელიც იწყება შრომის სამინისტროში შუა - გერმანიის ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის მელითონეთა გაფიცვის გარშემო.

გერმანიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშებს მოითხოვონ მწარმოებლებისათვის წარდგენილი ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და კატეგორიულად უარყონ ყოველგვარი კომპრომისული შეთანხმება. (ადს).

ფრიც ტისსენი

ალბერ ფეგლერი

ფონ-სიმენსი

ლიუკენ ჰაჰნ



ზილვერბერგ



კირდორფი



ვოლფი

გოტო საბჭოთა კავშირის შესახებ

ტოკიო, 8 თებერვალი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ვიკონტმა **გოტომ „სიმბუნ რენგო"-ს სააგენტოს** წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ ის **„გულწრფელ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის მთავრობას და მოსახლეობას იმ გულითადი გრძნობისათვის, რომლითაც მას ხვდებოდენ კავშირში".**

შემდეგ, გოტომ განაცხადა: **„ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა კავშირის ბელადების და მოსახლეობაში ენერგიულმა და დაუღალავმა მუშაობამ ახალ წესწყობილების ასაგებად. და აგრეთვე უკვე მიღწეულმა განსაცვიფრებელმა პროგრესმა".**

გოტო გამოვა მიტინგზე, რომელსაც აწყობს იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. (ადს).

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება ლონდონში

ლონდონი, 8 თებერვ. იანვრის ბოლო რიცხვებში შესდგა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის სხდომა. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით საზოგადოების ყრილობა მოწვეულ უნდა იქნას აპრილის ბოლო რიცხვებში. ყრილობის ადგილად არჩეულ იქნა ლონდონი. (ადს)

შეერთებული შტატების ინტრიგები პან-ამერიკულ კონფერენციაზე

პან-ამერიკული კავშირი იშლება

ნიუ-იორკი, 8 თებერვ. ჰავანიდან მიღებული ცნობით, შეერთებულ შტატების დელეგაციის თავმჯდომარე **იუზი** პან-ამერიკული კონფერენციის საიდუმლო კომისიების სხდომაზე ენერგიულად იბრძვის **მექსიკის, არგენტინის და სან-სალვადორის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გაატარონ დეკლარაცია კავშირის რომელიმე წევრის მხრივ მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.** იუზი წინააღმდეგობას უწევს აგრეთვე **არგენტინის მისწრაფებას შექმნას პან-ამერიკული საბაჟო კავშირი, რომელიც მიმართული იქნება შეერთებულ შტატების წინააღმდეგ.** დაბოლოს, იუზი უარყოფს პან-ამერიკული კავშირის რეორგანიზაციას, „მრავალმხრივ ხელშეკრულებათა" საფუძველზე. შეერთებული შტატები შიშობს, რომ **ასეთი რეორგანიზაციის შემთხვევაში პან-ამერიკული კავშირი გადაიქცევა ლათინურ ამერიკის სახელმწიფოთა ლიგათ, საიდანაც შეერთებულ შტატები გარიცხული იქნება.** (ადს)

მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

„ერთფეროვანი" საგადასახადო სისტემა

ვენა, 8 თებერვალი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით,—სკუპშტინამ (პარლამენტი) მიიღო კანონ-პროექტი მთელს სამხრეთ-სლავიაში „ერთფეროვან საგადასახადო სისტემის დაწესების შესახებ". პროექტის მიზანია სამხრეთ-სლავიის მიერ მსოფლიო ომის შემდეგ შეძენილ ოლქებზე გავრცელება სერბიის იმ ძველი საგადასახადო კანონმდებლობის, რომელიც მეტად მძიმეა მოსახლეობისათვის. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს დემოკრატებმა პრიბიჩევიჩის ჯგუფიდან, რადიჩის პარტიამ და სერბიის გლეხთა კავშირმა.

სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ **საგადასახადო კანონ-პროექტის მიღებასთან დაკავშირებით ვუკიჩევიჩის მთავრობა შეიტანს განცხადებას გადადგომის შესახებ.** როგორც სჩანს, მეფე კაბინეთის შედგენას ისევ ვუკიჩევიჩს დაავალებს. ფიქრობენ, რომ ვუკიჩევიჩი განაახლებს მოლაპარაკებას რადიჩთან კოალიციონურ მთავრობის შექმნის შესახებ. (ადს).

ვუკიჩევიჩის კაბინეთის გადადგომა.

ვენა, 7 თებერვალი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, 8 თებერვალს ვუკიჩევიჩმა სამხრეთ-სლავიის მეფეს გადასცა თხოვნა კაბინეთის გადადგომის შესახებ. **მეფემ დაავალა ვუკიჩევიჩს ახალი კაბინეთის შედგენა. ვუკიჩევიჩის მოლაპარაკება პარტიებთან უშედეგოთ დამთავრდა, ვინაიდან რადიჩმა (ხორვატიის გლეხთა პარტიის ბელადი) უარი განაცხადა იმ კაბინეთში შესვლაზე, რომლის სათავეში იქნება ვუკიჩევიჩი.** ამის გამო, ვუკიჩევიჩმა მეფეს განუცხადა, რომ ის უარს ამბობს კაბინეთის შედგენაზე.

ამის შემდეგ **მეფემ კაბინეთის შედგენა დაავალა რადიჩს.**

ინგლის-ამერიკის სესხი სამხრეთ-სლავიისათვის

ვენა, 8 თებერვალი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის მთავრობას და ინგლისის და ამერიკის ბანკების ერთ ჯგუფს შორის დადებულია წინასწარი შეთანხმება სამხრეთ-სლავიისათვის სესხის მიცემის შესახებ 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით (ადს).

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2-ე გვ.).

პროლეტარული დიქტატურის არმია

ახლოვდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლის თავი. ჩვენი პარტია, ჩვენი მშრომელი ხალხი და ყველა პროლეტარული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათანადო ყურადღებით და შეგნებით შეხვდენ ამ მართლაც სახელოვან იუბილეს და მოემზადონ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების და თავდაცვის უნარიანობის შემოწმებისათვის.

ეხლა ჩვენ არ გვყავს არც ერთი მუშა და არც ერთი მშრომელი გლეხი, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდეს, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიას პროლეტარული დიქტატურის სისტემაში, წითელი არმიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფაქტი მუშათა კლასის ათი წლის გამარჯვებისა, ხელისუფლების დაპყრობა გამოცდილებამ. სამოქალაქო ომის და შემდეგ დამდგარ მშვიდობიანი „შესვენების" დროის გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ რევოლიუციონური არმია, რომელიც თანდათან ვითარდება და უმჯობესდება, ჭეშმარიტად წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს და საიმედო ყავარჯენს. მეორე მხრივ, ამჟამად წარმოებული გრანდიოზული ბრძოლა ჩინეთში კვლავ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ რევოლიუციონური ხალხის სამხედრო თვითორგანიზაციის გარეშე მშრომელ ხალხს არა გააჩნია სხვა გზა ექსპლოატატორების დასამხობად და თავის განსათავისუფლებლად. ჩინეთის რევოლიუციის იგივე გამოცდილება თვალსაჩინოდ ააშკარავებს იმ მწვავე დაბრკოლებებს და სიძნელეებს, რომელნიც ხელს უშლიან რევოლიუციის შეიარაღებულ ძალების შექმნას და მშენებლობას.

ოქტომბრის ცეცხლსა და ქარიშხალში იშვა გამარჯვებული პროლეტარიატის, მანამდე არ ნახული არმია. იმ მუშა წითელ გვარდიელების დიადი თაოსნობა, რომელთაც იერიში მიიტანეს რიაბუშკინსკების წესწყობილების სიმაგრეზე, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, იქცა დაუძლეველ მასიურ ძალად—მრავალმილიონიან წითელ არმიად.

უდიდესი რღვევის, ნგრევის, სოციალურ ურთიერთობათა დაშლის პირობებში, გამძვინვარებული მტრების გარემოცვაში, თეთრ გენერლების, ოკუპანტების, ინტერვენტების, დენიკინების, ვრანგელების, კოლჩაკების, იუდენიჩების გააფთრებულ თავდასხმის დროს, ძველი ქვეყნის ბნელი ძალების მიერ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მომართულ მოშხამულ ისრების სროლაში იშვა რევოლიუციის არმია, რომელიც თავის ბუნებით ანსახიერებდა რკინისებურ წესრიგს, პროლეტარულ გამძლეობას და გაუგონარ ვაჟკაცობას. ეს,—ქაოსიდან გამოკვეთილი ძალა ტყუილად ხომ არ ეჩვენებოდათ და ეჩვენებათ მრავალ ჩვენ მტრებს, რომელთაც წარმოდგენაც არა აქვთ რევოლიუციის შემოქმედებით ძალებზე, როგორც „სასწაული—საკვირველება". განა ამ საკვირველმა ძალამ არ აქცია ისინი ნამსხვრევებათ? ორიოლთან, ტულასთან, პიტერთან, სამარასთან, ყაზანთან, პერეკოპთან. წითელმა არმიამ იხსნა ქვეყანა კოლონიალური მონობიდან, პროლეტარული რევოლიუცია—სისხლიან დარბევისაგან და შექმნა შესაძლებლობა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

შესვენების შვიდი წლის პერიოდში ჩვენი არმია ვითარდებოდა და იზრდებოდა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. იგი დაუღალავად და ყოველმხრივ ანზოგადოებდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს მიღებულ ბრძოლის გამოცდილებას. იგი განაგრძობდა თავის კავშირის განმტკიცებას მასებთან—მუშურ-გლეხურ ფენებთან. ვითარდებოდა რა ყოველმხრივ შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის დარგში, წითელი არმია გადაუხვევლად იცავდა და ზრდიდა თავის არსებაში 1918 (21 წლის) ტრადიციებს.

ჩვენი არმიის უფროსთა შემადგენლობა სამოქალაქო ომის მონაწილეთა პროცენტი შეადგენს 91,6 მუშათა პროცენტი წითელ უფროსთა შემადგენლობაში 17,2- დან (1921 წელი) გაიზარდა 21,6 -მდე 1926 წ.) უფროსთა შემადგენლობაში პარტიულების ხვედრითი წონა, რომელიც 1920 წ. 10,5 % უდრიდა, 1927 წლისათვის 28 პროცენტამდე გაიზარდა, ამგვარად წითელი არმიის თითქმის ყოველი კომანდირი წარმოადგენს ჩვენი პარტიის წევრს. ეს ცნობები ამტკიცებენ, თუ როგორ უვარდება კოვზი ნაცარში მას, ვინც გაჰყვირის ჩვენი წითელი არმიის „ბონოპარტიულ გადაგვარებაზე". თუ „ფორვერტსის"-ის განსწავლული ცილის წამებლები, რომელნიც ამ საკითხში საპრონოვის სამზარეულოში დამზადებულ საჭმელების ნარჩენებით იკვებებიან, წითელი არმიისათვის საბედისწერო მოვლენათ სთვლიან იმ გარემოებას, რომ ჩვენს არმიაში ჩაბმული არიან და მასში ტარდებიან გლეხობის ფართო მასები, ჩვენ შეგვიძლია ამ ჭკუის კოლოფებს ვუპასუხებთ, ლენინის სიტყვებით, რომელთაც მნიშვნელობა დაკარგული არა აქვთ არც დღევანდელი დღისათვის და არც მომავალი დროისათვის: „წითელმა არმიამ მშვენივრად განახორციელა პროლეტარული ხელმძღვანელობის თანდათანობა და სიმტკიცე—ყველა ექსპლოატატორების წინააღმდეგ მუშებისა და მშრომელი გლეხობის შეკავშირებულ ბრძოლაში".

წითელი არმია, პირველყოვლისა წარმოადგენს შეაიარაღებულ ძალას— (უფრო სწორედ - შეიარაღებულ ძალთა სისტემას). ამ ხაზით იგი განაგრძობს წინსვლას და რაციონალურ განვითარებას.

ამასთან ერთად წითელი არმია არის მეტად დიდი პოლიტიკური და კულტურული ძალა ჩვენს ქვეყანაში. იგი წარმოადგენს კულტურისა და სოციალისტური განათლების გამავრცელებელ ძალას ჩვენს კავშირში. 710 კლუბი, თითქმის 6 ათასი ლენინის კუთხე, რამოდენიმე ათასი კედლის გაზეთი, თითქმის 10 ათასი ბიბლიოთეკა (ძირითადი და მოძრავი)—ყველაფერი ეს —ჩვენი ნაკლებ კულტუროსანი ქვეყნისათვის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს, რომლითაც სრული უფლება აქვთ იამაყონ ჩვენი წითელი არმიის მუშაკებმა.

პარტიამ, მუშათა კლასმა და პროლეტარულმა პრესამ სრულიად სამართლიანად გააძლიერეს თავიანთი ყურადღება ქვეყნის თავდაცვის საკითხებისა და წითელი არმიისადმი. თანამედროვე გამწვავებულ საერთაშორისო გარემოებაში მარხია ყაჩაღურ-იმპერიალისტური თავდასხმის საშიშროება. წითელი არმია და მთელი ქვეყანა მუდამ მზად უნდა იყვეს საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად. თუ გასულ წელს, რომელსაც ახასიათებდა იმპერიალისტების მტრულ აგრესიულ მოქმედებების ზრდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არ მოჰყვა პირდაპირი თავდასხმა, აქ მცირე როლს არ თამაშობდა შიში ჩვენი წითელი არმიის წინაშე. რამოდენიმე თვის წინად ოტტო ბაუერი სწერდა: „ასე იოლი არ იქნება საბჭოთა კავშირის მტრებისათვის შეეჯიბრონ თავისი ძალებით წითელ არმიას, რომელსაც აქვს განსაკუთრებული შანსები გამარჯვებისთვისო. წითელ არმიისადმი მიძღვნილ მოწინავეში გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანო აღნიშნავდა: „არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვებული იქნეს ის ისტორიული ფაქტი, რომ ასეთ რევოლიუციონურ ჯარებს არა ერთხელ გამოუაშკარავებიათ საკვირველი ბრძოლის უნარი". თვით ინგლისის ბურჟუაზიის ხელმძღვანელ ორგანო „ტაიმს"-ი, თვით ეს ორგანო იძულებულია აღიაროს, რომ „წითელი არმიის სული კარგია, თუ ნორმალურად ჩაითვლება მასში დამყარებული დისციპლინაო". ასე სწერს ჩვენი ყველაზე უფრო მოსისხლე მტრების გაზეთი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ თავის საერთო პოლიტიკურ რეზოლიუციაში და აგრეთვე დადგენილებაში ხუთწლიან სამეურნეო გეგმის შესახებ, საჭიროდ ჩასთვალა სპეციალურად აღენიშნა კავშირის სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების აუცილებლობა.

პარტია იმოქმედებს ყრილობის ამ გადაწყვეტილების მიხედვით და არაფრის გზით არ შეასუსტებს, პირიქით ყოველ მხრივ განამტკიცებს და გააძლიერებს თავის ზრუნვას წითელ არმიაზე, საზღვაო და საჰაერო ფლოტზე. ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი კიდევ უფრო მეტი ყურადღების და მუშურ-გლეხურ მასების წითელ არმიასთან კიდევ უფრო მტკიცე შეკავშირების ლოზუნგით უნდა ჩავატაროთ პროლეტარული დიქტატურის არმიის ათი წლის თავის დღესასწაული.

„პრავდა", 9 თებერვალი.

გარდატეხა პურის დამზადების საქმეში

იანვრის კამპანია

პურის დამზადების კამპანია მოქცეულია საბჭოთა და პარტიულ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ჩვენი ყურადღების კონცენტრაციას პურის დამზადების საქმეზე გვიკარნახებს იმის საჭიროება, რომ საჩქაროდ იქნას გადალახული და დაძლეული ის სიძნელენი, რომლებმაც თავი იჩინა უკანასკნელ ხანში თვის განმავლობაში.

სიძნელენი პურის დამზადების საქმეში წარმოადგენენ იმ ფოკუსს, სადაც თავს იყრის ყველა ის დისპროპორციები, შეუთანხმებლობანი და დაბრკოლებანი, რომლებსაც განიცდის ჩვენი სოციალისტური სამეურნეო აღმშენებლობა. წარსული სამეურნეო წელი მიმდინარეობდა შედარებით გეგმაშეწონილად, მეურნეობის ცალკე დარგებში ადგილი არ ჰქონია რაიმე ისეთ ძლიერ შეფერხებებს, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ჩვენი ქვეყნის მთელ სამეურნეო მდგომარეობაზე და აგრეთვე საერთო სამეურნეო განვითარების ტემპზე.

პირველი მნიშვნელოვანი დაბრკოლებანი ბაზარზე ჩვენ გვქონდა უმთავრესად არა ეკონომიურ ფაქტორის გავლენით ომის საფრთხის სახით; ეს საფრთხე წამოიჭრა ჩვენს წინაშე 1927 წლის გაზაფხულზე და განსაკუთრებით ზაფხულის დასაწყისში. ომის საფრთხის მუქარას და ჩვენს მოწოდებას მთელი ჩვენი ქვეყნისადმი „თავდაცვისათვის მზადების" შესახებ, არ შეეძლო არ გამოეწვია შეფერხებანი ბაზარზე, რამდენადაც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა სამრეწველო საქონლის მინიმალური ფონდი. ამ გაძლიერებულ მოთხოვნილების გამოსავლის რეალიზაციას ჩვენ შევუდექით ისე, რომ არ გვქონდა საქონლის საკმაო მარაგი. მართალია ომის საფრთხეს ეხლა მოსახლეობა უფრო სუსტად გრძნობს, მაგრამ დასაწყისში ამან გამოიწვია ბაზრის დეზორგანიზაცია, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა დასახული დაბრკოლებანი, შექმნა შიშიანობა მოსახლეობაში, რომელმაც იწყო გაზვიადებულ მოთხოვნილების წარდგენა საქონელზე. ამავე დროს სამრეწველო საქონლის ფასების წარმატებით ჩატარებულმა შემცირებამ მარტო წარსული წლის 1-ლ აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე მოსახლეობის გადამხდელ უნარიანი მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე გაზარდა 320 მილიონ მანეთით. პირველივე კვარტალის სამრეწველო საქონლის მასა, თუ ერთმანეთს შევადარებთ წარსულ და ამ წლის ფასებს, ხვდა მოსახლეობას 150-200 მილიონ მანეთით უფრო იაფად. სიძნელემ თავი იჩინა იმის გამო, შევამცირეთ რა ფასები და გავაძლიერეთ რა მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე, ჩვენ არა თუ არ გავაძლიერეთ მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქცია ამ 6 თვეში, არამედ, პირიქით, ადგილი ჰქონდა იმ ტემპის შემცირებას, რომელიც იყო ფასების დაკლებამდე; ეს, კერძოდ შეეხება ზაფხულს, როდესაც მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქცია, შვებულებების და სარემონტო მუშაობის გამო ძლიერ შემცირდა და აიწია მხოლოდ სექტემბერში, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საფეიქრო მრეწველობის საწარმოო პროგრამა შეუსრულებელი აღმოჩნდა. და ამას ადგილი ჰქონდა ისეთ პირობებში, როდესაც მრეწველობის ნედლეულის ბაზისი არა თუ არ შემცირდა გეგმასთან შედარებით, არამედ, პირიქით, გადიდებულ იქნა. ამას უნდა დაუმატოთ, რომ სოფლის ფულადი შემოსავალი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიზარდა წინა წლის შესაფერ კვარტალთან შედარებით 7 პროცენტით. დამზადებათა გადიდების გარდა სოფლის მოთხოვნილების ზრდაზე გავლენა ჰქონდა იმასაც, რომ წარსულ წელთან შედარებით ძლიერ გაფართოებულმა კაპიტალურმა აღმშენებლობამ უკანასკნელ ექვს თვეში მისცა სოფელს რამოდენიმე ასეული მილიონი მანეთი საამშენებლო მუშებს, სეზონურად მომუშავეებს და სხვათა საშუალებით. ამასთან ერთად ქალაქის მოსახლეობის შემოსავლის ზრდის ტემპმა გადააჭარბა იმ ნორმას, რომელიც დასახული იყო საკონტროლო ციფრებში. ამრიგად ჩვენ გვქონდა მრეწველობის პროდუქციის შემცირება დაკლებულ ფასებთან ერთად და გლეხობისა და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილების მწვავედ გამოხატული ზრდა.

სოფლის ფულადი შემოსავლის სწრაფ ზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის და გლეხობის სხვა გამოსაღების შემცირებას, განაკვეთების შემცირებას და მთელ რიგ შეღავათების წყალობით, რომლებიც მიანიჭა მოსახლეობას ოქტომბრის მანიფესტმა.

ასე მაგალითად, ერთიან გადასახადის ნაწილი, რომელიც წარსულ წელში შეადგენდა გლეხობის ფულად შემოსავლის 16,3 პროცენტს, მიმდინარე წელს შეადგენს მხოლოდ 5,32 პროცენტს.

ამ გართულებულმა კონიუნქტურამ პირველ რიგში გავლენა იქონია პურის დამზადებაზე, და არა სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებაზე, ვინაიდან შეფარდება პურის ფასებსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების — ტეხნიკურ კულტურების და მესაქონლეობის პროდუქტების ფასებს შორის უფრო ხელსაყრელია უკანასკნელთათვის.

თავის- თავად ცხადია, ერთგვარი განსხვავება ერთის მხრივ ხორბლის ფასებსა და მეორეს მხრივ მესაქონლეობისა და მცენარეულობის ნედლეულის ფასებს შორის უნდა არსებობდეს. უკანასკნელთა ხელსაყრელობა უნდა გამოდგეს იმის სტიმულად, რომ გლეხობამ უფრო სწრაფად გააფართოოს ტეხნიკურ კულტურების თესვა ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზისის გასადიდებლად და მესაქონლეობის განსავითარებლად, რომელიც საკვებ პროდუქტებს აწვდის ქალაქებსა და სოფლებს და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესისა და მისი შემოსავლიანობის ზრდის საშუალებას.

ამრიგად, პურის დამზადების წინააღმდეგ მოქმედებდა აგრეთვე თავისებური „მაკრატელი" სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო საქონლის ფასებს შორის. თუ ამას დავუმატებთ, რომ გლეხობას უდიდესი შემოსავალი აქვს სხვა პროდუქტებიდან, რომლებიც შეადგენს მისი საერთო შემოსავლის 70 პროცენტზე მეტს, რომ გლეხობას არ შეეძლო საკმაო რაოდენობით შეეძინა სამრეწველო საქონელი და ადვილად პოულობდა საშუალებებს სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად, რომ ჩვენი გლეხობა რევოლიუციის შემდეგ კიდევ არ მიჩვევია ფულის დაგროვებას, და თუ, დაბოლოს, ანგარიშს გავუწევთ იმას, რომ დანარჩენი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების შენახვა უფრო ძნელია, ვიდრე პურის, სრულიად გასაგები გახდება, თუ რატომ დააჩქარა გლეხობამ პირველ რიგში გაენაღდებია მესაქონლეობის პროდუქტები და ტეხნიკური კულტურები, და მეორე რიგში დასტოვა პურის გასაღება.

აი, დაახლოვებით, ზოგად ხაზებში, სახალხო მეურნეობის კონიუნქტურის ის ფონი, რომელზედაც გარკვევით გამოისახა დაბრკოლებები პურის დამზადების საქმეში.

სახალხო მეურნეობის სრულიად ჯანსაღი განვითარების, რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულ საწარმოო ძალთა განვითარების გააფთრებულ ტემპის, პროლეტარულ სახელმწიფოს სწორ ეკონომიურ პოლიტიკის, სახალხო მეურნეობაზე პროლეტარულ სახელმწიფოს მხრივ სოციალურ და ეკონომიურ ზეგავლენის ბერკეტების უდიდეს ზრდის პირობებში, ჩვენ წავაწყდით დაბრკოლებას ძირითად საკითხში იმის გამო, რომ საკმაოდ სწორად არ იყო დაცული პროპორცია მეურნეობის ცალკე ელემენტებს შორის, ადგილი არ ჰქონდა საკმაო გეგმიან დაკავშირებას, გარკვევით და მოქნილად ვერ მუშაობდა პროლეტარულ სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკის და სამეურნეო სისტემის ყველა ბერკეტები.

აი, ამიტომ, როდესაც ჩვენ წავაწყდით ამ სიძნელეებს, ჩვენ დავსახეთ ისეთი ეკონომიური ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს უფრო სწორი შეფარდება სახალხო მეურნეობის ცალკე ელემენტებს შორის და სახალხო მეურნეობის ყველა ბერკეტების გამოყენება საერთოდ ეკონომიურ ამოცანების გადასაჭრელად. ძირითადი ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებსაც უნდა დაემყარებოდა უფრო სწორი პროპორციები, იყო შემდეგი:

1) მრეწველობის პროდუქციის უფრო სწრაფი გაფართოება, რათა ბაზარზე გაგვეტანა სამრეწველო საქონლის უფრო დიდი მასა,

2) სამრეწველო საქონლის ძირითადი მასის შეტანა სოფელში,

3) იმ თავისუფალ ფულად საშუალებათა მობილიზაციის გაძლიერება, რომლებსაც არ მისწოდებია და არ შეიძლებოდა მისწოდებოდა სამრეწველო საქონლის შესაფერი მასა.

ზომათა უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფა, დაზღვევის პირობების ვადაზე აღება, გლეხობისათვის დარიგებულ სესხების თავის დროზე დაბრუნება, ერთის მხრივ და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გამოშვება მეორეს მხრივ.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტებს, რომლებმაც გაართულა სამეურნეო კონიუნქტურა, არ ექნებოდა ის შედეგები და შედარებით ადვილად იქნებოდა აღმოფხვრილი, რომ ამ ფაქტებს იმ ხანებში თან არ მოჰყოლოდა პარტიის ყურადღების შესუსტება პრაქტიკულ სამეურნეო ამოცანებისადმი საერთოდ და კერძოდ პურის დამზადების საკითხისადმი.

აგრეთვე პურის დამამზადებელ აპარატის ნაკლებ მოქნილობასაც ჰქონდა ამ მხრივ გავლენა, ის ხელს უწყობდა სამეურნეო კონიუნქტურის ცალკე მომენტების მერყეობას და ბაზრის დაბრკოლებებს ვერ უპირდაპირებდა თავის ორგანიზაციულობას და მანევრების უნარს.

ჩვენი ძირითადი ამოცანა ამჟამად ძევს სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობასთან მის სათანადოდ დაკავშირებაში. ამ პრობლემების გადაჭრა მარტო საბჭოთა სამეურნეო ძალებით ამ საქმეში პარტიის აქტიურ ყოველდღიურ დახმარების გარეშე სრულიად შეუძლებელია. აი ამიტომ, დავისახეთ რა ამოცანად პურის დამზადების განვითარება და გადამწყვეტ გარდატეხის მიღწევა პურის დამზადების მსვლელობაში, ჩვენ პირველ რიგში ბოლო უნდა მოვუღოთ სამეურნეო აპარატის სიღათას ძილს და გავაღვიძოთ პარტიულ ორგანიზაციების აქტივობა ამ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ამოცანის გადასაჭრელად. ბოლშევიკურ ენერგიისა და მოქნილობის გამოჩენა, პროლეტარულ რკინისებურ დისციპლინის დაწესება მაშინ, როდესაც ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოს და ჩვენს პარტიას მოეპოვება უდიდესი, ხშირად დაფარული და ბევრისაგან სათანადოდ შეუფასებელი ძალები — ეს ნიშნავს იმას, რომ დასახული ამოცანა თითქმის ძირითადად იქნას გადაჭრილი.

აღმოჩნდა, რომ მთელი ჩვენი სამეურნეო და პარტიულ აპარატის ამოძრავებას და ყველა ჩვენი ბერკეტების წესრიგში მოყვანას დასჭირდა მნიშვნელოვანი დრო. ერთ თვეზე მეტი მოუნდა იმას, რომ ამოძრავებულიყო საბჭოების, პარტიის და კოოპერაციის ყველა ძალები და მიმართულიყო წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად.

ამჟამად, როდესაც განვლო თვენახევარზე მეტმა, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამოძრავებას და გარდატეხას უკვე აქვს ადგილი, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველგან და არა ერთნაირად. მთელი რიგი ორგანიზაციები კიდევ ჩამორჩენილია.

ვინაიდან მხედველობაში გვაქვს, რომ ამ საკითხების შესახებ უახლოეს დღეებში მოვათავსოთ მეორე წერილი, ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ იანვრის ციფრეულ ჯამებზე.

იანვარში ჩატარებულ მუშაობის წინასწარი ჯამები უდიდეს ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ უნდა შევაფასოთ სამეურნეო მანევრის ბერკეტები, მუშაობის მეთოდები, მიღწევები და ნაკლულოვანებანი და მიმდინარე კამპანიის ყველა გაკვეთილები.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მიმდინარე კამპანია წარმოადგენს კადრების ორგანიზაციის საუკეთესო შემოწმებას, საუკეთესოს იმიტომ, რომ ბრძოლის და დაბრკოლებათა გადალახვის მდგომარეობა იძლევა განსაკუთრებით ბასრ იარაღს შემოწმებისათვის.

როდესაც ვიხილავთ წარსული წლის პურის დამზადებათა დინამიკას, ჩვენ ვხედავთ, რომ ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში დამზადება სჭარბობს გეგმას, დაწყებული ოქტომბრიდან და მიმდინარე სამეურნეო წლის მთელი პირველი კვარტალის განმავლობაში თანდათან კლებულობს როგორც პროცენტულად გეგმასთან შედარებით, ისე აბსოლუტურად. შესრულების პროცენტი ოქტომბერში შეადგენს 70,7 პროცენტს, ნოემბერში 58,5 პროცენტს, დეკემბერში 50,9 პროცენტს, აგრეთვე დამზადებულ პურის საერთო რაოდენობაც შეადგენს ოქტომბერში 80 მილიონამდე ფუთს, ნოემბერში 45 მილიონ ფუთს და დეკემბერში 40 მილიონ ფუთს. პურის დამზადების შემცირების პროცესი გრძელდება იანვრის მთელი პირველი დეკადის განმავლობაში. ეს პროცესი ჩერდება მხოლოდ მეორე დეკადში, როდესაც იწყება პურის დამზადებათა ნელი, მაგრამ შეუჩერებელი ზრდა, რომელიც სათანადო ტემპს აღწევს მხოლოდ იანვრის უკანასკნელ დეკადში.

ეს დინამიკა ხასიათდება პურის დამზადების შემდეგი ციფრებით თვითეულ ხუთდღეულში: პირველ ხუთდღეულში დამზადებულია— 122,800 ტონა, მეორეში — 109,700, მესამეში —159.700, მეოთხეში — 228.900, მეხუთეში— 258,600, მეექვსეში — 443.600.

მეექვსე ხუთდღეულმა მოგვცა დამზადებათა სარეკორდო ციფრი უკანასკნელ წლებში. არც ერთ ხუთდღეულში არ დამზადებულა ამდენი პური.

ჯერ-ჯერობით, იმიტომ, რომ ეს არსებითად ხუთდღეული კი არ არის, არამედ ექვსდღეული, ამიტომ მეექვსე ხუთდღეულის სწორი შედარებისათვის მეხუთესთან 27 მილიონ ფუთს უნდა გამოვაკლოთ ერთი მეექვსედი ნაწილი, ე. ი. 3.500.000 ფუთი. ასეთი შესწორების შემდეგ მეექვსე ხუთდღეული გვაძლევს მეხუთესთან შედარებით ზრდას არა 11 მილიონი ფუთით, არამედ მხოლოდ 6 მილიონი ფუთით.

მეორე — მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პურის ის ნაწილი, რომელიც დამზადებულ იყო მეხუთე ხუთდღეულში, მაგრამ ვერ მოხვდა მეხუთე ხუთდღეულის აღრიცხვაში, აღრიცხულ იქნა, უკანასკნელ ექვსდღეულში. ყველა აღნიშნული კორექტივებით. მეექვსე ხუთდღეულის ჯამი შეადგენს 21 მილიონამდე ფუთს. მაგრამ ეს ციფრი წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ სარეკორდო დამზადებას. ასეთი ხუთდღეული ჩვენ მხოლოდ ერთი გვქონდა და ისიც წარსულ წელში.

რომ იანვრის თვითეულ ხუთდღეულში ჩვენ გვქონოდა 21 მილიონ ფუთის დამზადება, იანვარში დავამზადებდით 125 მილიონ ფუთს, გეგმით გათვალისწინებულ — 92 მილიონ ფუთის წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენი ორგანიზაციების დაგვიანებით ამოძრავების წყალობით და იმის გამო, რომ პურის დამზადებამ განვითარების სათანადო ტემპს მხოლოდ იანვრის მესამე დეკადაში მიაღწია, იანვრის პირველ 20 დღეში კი პურის დამზადება ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, ჩვენ ვერ შევსძელით სავსებით შეგვესრულებია დამზადებათა იანვრის გეგმა. გეგმის მიხედვით იანვარში უნდა დამზადებულიყო 92 მილიონი ფუთი, წინასწარი ცნობებით კი დამზადებულია 80,6 მილიონი ფუთი, ანუ თვიური გეგმის 86 პროცენტი.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გარდატეხის მიღწევის შესახებ უკანასკნელ ათდღეულში, ჩვენ არ შეგვიძლია ეს თანაბრად გავავრცელოთ საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებზე. ნამდვილი გარდატეხა ყველაზე უფრო ადრე [illegible] უმნიშვნელოვანეს რაიონში: უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაზე უფრო სწრაფად მოახდინეს მანევრი, ყველაზე უფრო ადრე ამოძრავდნენ და შესძ-

ლის ნამდვილი წარმატების მიღწევა თვიური გეგმის შესრულებაში.

ამ რაიონების მუშაობის შედეგები გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

უკრაინის გეგმა იანვრისათვის შეადგენდა 25 მილიონ ფუთს, ანუ 410.000 ტონას, ფაქტიურად კი დამზადებულია 37.750.000 ფუთი, ანუ 504.000 ტონა, ამრიგად, უკრაინამ თავისი გეგმა შეასრულა 122,9 პროცენტით.

ჩრდილოეთ კავკასიის გეგმა შეადგენდა—216.000 ტონას, ანუ 13 მილიონ ფუთს. იანვრის განმავლობაში კი დამზადებულია 256.000 ტონა, ანუ 15.600.000 ფუთი, ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიამ თავისი თვიური გეგმა შეასრულა 118,9 პროცენტით. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინელ და ჩრდილო - კავკასიელ ამხანაგებს შეუძლიათ დამშვიდდნენ. უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის უმთავრესი ამოცანაა — შემდეგშიაც დაიცვან იანვრის ბოლოს მიღწეული ტემპი, რათა შეასრულონ თავისი თებერვლის გეგმა. რამდენადაც იანვრის ნახევარი მოუნდა ორგანიზაციების ამოძრავებას და პურის დამზადებათა საქმის მოწესრიგებას და მხოლოდ იანვრის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი გეგმის შესრულება, თებერვალიც უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან ამ თვეში უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენ შევდივართ პურის დამზადებათა უფრო მაღალი დონით, რომლის შენარჩუნებამ სავსებით უნდა უზრუნველჰყოს თებერვლისა და კვარტალური გეგმის შესრულება. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში — უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში — არა თუ შეუძლებელია ყურადღების რამოდენიმედ შესუსტება, არამედ ეს ყურადღება კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, ვინაიდან გაზაფხულამდე, როცა თოვლი დნება, ამ რაიონებში მცირე დრო დარჩა და უნდა დავისახოთ ამოცანა, რომ პურის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულ იქნას გზების გაფუჭებამდე.

იანვრის ოც რიცხვებში დაიხაზა გარდატეხა, მაგრამ კიდევ არასაკმაო გარდატეხა ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქის გუბერნიებში და ვოლგის მხარეში.

ცენტრალურმა შავმიწადგიანმა ოლქმა (ვორონეჟის, კურსკის, ტამბოვის და ორიოლის გუბერნიებში) თავისი გეგმა შეასრულა 70-ნახევ. პროცენტით, დაამზადა იანვრის განმავლობაში 11.188.000 ფუთი პური, ანუ 183.000 ტონა, 260.000 ტონის მაგიერ. ვოლგის მხარემ მოგვცა 5.900.000 ფუთი, ანუ 97.000 ტონა გეგმით გათვალისწინებულ 148.000 ტონის მაგიერ, ე. ი. შეასრულა გეგმა 65,6 პროცენტით. ამ რაიონების ამოცანაა — კიდევ უფრო ენერგიულად ამოძრავდნენ, რათა თებერვალში პურის ის რაოდენობაც დაამზადონ, რაც დაუკლდათ იანვრის გეგმაზე, და შეასრულონ თავისი გეგმა.

ძლიერ დიდხანს დაბალ დონეზე იდგა პურის დამზადება ციმბირში, სადაც არის ზედმეტი პურის უდიდესი მარაგი. ციმბირმა თავისი გეგმა შეასრულა 68,9 პროცენტით, დაამზადა 18 მილიონი ფუთი, ანუ 187.000 ტონა, გეგმით გათვალისწინებულ 200.000 ტონის მაგიერ. მხოლოდ უკანასკნელ ხუთდღეულში დამზადდა ციმბირში გაცილებით მეტი პური, ვიდრე წინა ხუთდღეულში, მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გამოესწორებინა იანვრის გეგმის შეუსრულებლობა. ეს წარმატება კი წარმოადგენს ნამდვილ და გადამჭრელ გარდატეხის დასაწყისს ციმბირში. ზედმეტი პურის დიდი მარაგი, დიდძალი სამრეწველო საქონლის გაგზავნა და პარტიულ ორგანიზაციების და სამეურნეო აპარატის ძალები იძლევა საფუძველს, რომ მოველოდეთ პურის დამზადების ტემპის შემდგომ აწევას ციმბირშიაც. ციმბირმა უნდა აანაზღაუროს უკანასკნელ თვეებში დაკლებული რაოდენობა. განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენას ციმბირში წარმოადგენს ის გარემოება, რომ დამზადებათა ტემპი იძლევა შემდგომ ზრდას თებერვლის პირველ ხუთდღეულშიაც. თებერვლის პირველ ხუთდღეულში ციმბირმა დაამზადა უფრო მეტი, ვიდრე იანვრის უკანასკნელ ექვს დღეში. ეს მოწმობს ციმბირის ამოძრავებას და წარმოადგენს წარმატების საწინდარს.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონებად აღმოჩნდა კაზაკსტანი, ურალი, ბაშკირეთი და თათართა რესპუბლიკა. ამ რაიონების მიმართ ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი გადამწყვეტ გარდატეხაზე.

იანვრის ძირითადი ჯამები: ჩვენ ვიწყეთ გამოსვლა დაბრკოლებებიდან, მივაღწიეთ წარმატებას პურის დამზადების მსვლელობაში, შევამოწმეთ და ავამოძრავეთ ჩვენი სამეურნეო, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები, მათი ძალები და კადრები, შევიტანეთ ცოცხალი ხიო ჩვენს მუშაობაში.

თებერვალში შესვლისას ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა შევინარჩუნოთ მიღწეული ტემპი უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, თებერვალში მნიშვნელოვნად გავზარდოთ პურის დამზადების აბსოლიუტური სიდიდე იანვართან შედარებით, გავაძლიეროთ პურის დამზადების ტემპი ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქში, ვოლგის მხარეში და ციმბირში და აგრეთვე მივაღწიოთ ნამდვილ გარდატეხას ბაშკირეთში, კაზაკსტანში, თათართა რესპუბლიკაში და ურალში.

ჩვენ უნდა განვაგრძოთ დაწყებული ბრძოლა, არ უნდა შევასუსტოთ მიღწეული ტემპი, უნდა ვებრძოლოთ ცალკე შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც აუცილებელია ასეთ დიდ კამპანიის დროს. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ პურის დამზადებათა სრულ წარმატებას.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება აღმოვფხვრათ დროებითი სიძნელენი სამეურნეო მუშაობის ცალკე დარგებში, დავამყაროთ უფრო სწორი პროპორცია ჩვენი სამეურნეო სისტემის ცალკე ელემენტებს შორის, არა მარტო უზრუნველვყოთ საერთო სამეურნეო განვითარების დასახული ტემპის შენარჩუნება მიმდინარე წელში, არამედ კიდევ უფრო გავაძლიეროთ იგი მომავალ სამეურნეო წელში.

ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც შევიდა გაშლილ სოციალისტურ სამეურნეო აღმშენებლობის ხანაში, უნდა უზრუნველჰყოს აღებულ ტემპის შენარჩუნება და მისი შემდგომი გეგმაშეწონილი გაძლიერება.

მიმდინარე კონიუნქტურის სამეურნეო პრობლემათა ძირითად საფეხურს წარმოადგენს პურის დამზადების კამპანია. ჩვენ უნდა შევსძლოთ განვამტკიცოთ დაწყებული წარმატებითი გარდატეხა.

მიქოიანი.

„პრავდა" 8 თებერვალი.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკელი ჟურნალისტი საბჭოთა კავშირის შესახებ

კიევი, 9 თებერვალი. კიევში ჩამოვიდა ამერიკელი ჟურნალისტი შეფანი, რომელიც ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული ცნობების გამო, რომ ვითომც საბჭოთა კავშირში ხდება აჯანყება, არეულობა და სხვ., ადგილობრივ შეისწავლის საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

„მე შემოვიარე უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი,—სთქვა შეფანმა რატაუს კორესპონდენტთან საუბარში,—და შემიძლია აღვნიშნო, რომ ყველგან არის გამეფებული სამაგალითო წესრიგი, რომელიც შეიძლება შეშურდეს ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანას. საერთო შთაბეჭდილება ასეთია— მთელი ქვეყანა ეწევა განსაკუთრებულ საქმიან სამეურნეო მუშაობას და არავინ არ ფიქრობს რაიმე აჯანყებაზე. ყოველივე ნახულის შესახებ რამოდენიმე კორესპონდენცია გავგზავნე ამერიკაში". (ადს)

მწარმოებლები ლოკაუტ(ის) იმუქრებიან

ბერლინი, 9 თებერვალი. გუშინდელი მოლაპარაკება შრომის სამინისტროში შუა გერმანიის ლითონის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის მოგვარების შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. მრეწველთა კავშირი მელითონეებს ემუქრება ლოკაუტით მთელი გერმანიის მასშტაბით, თუ კონფლიქტი არ მოგვარდა მახლობელ დღეებში. მოლაპარაკების გაგრძელება ხვალ დაიწყება. (ადს).

კელოგი ახალ საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს ემხრობა

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანმა კელოგმა განაცხადა, რომ იგი სცდილობს შეერთებული შტატების ყველა არსებული საარბიტრაჟო ხელშეკრულებანი ინგლისთან, იაპონიასთან, იტალიასთან და სხვა ქვეყნებთან შესცვალოს ახალი ხელშეკრულებით, რომელნიც საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულების მაგვარი იქნება, ვინაიდან ძველი ხელშეკრულებანი შეიცავენ მონროეს დოქტრინის ცნობას. (ადს).

უორკერს პარტის პლენუმი

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. უორკერ პარტის (კომპარტია) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, მოისმინა რა მან ვულფის მოხსენება საკავშირო კომპარტიიდან გამორიცხული ოპოზიციის მოქმედების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება საბჭოთა კავშირის ძმურ პარტიას, აღფრთოვანებას გამოსთქვამს იმ შეურყეველი მთლიანობის გამო, რომელიც გამოიჩინა მე-15 ყრილობამ და იწონებს გამთიშავი ელემენტების წინააღმდეგ მიღებულ ყველა ზომებს". პარტმშენებლობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი აცხადებს: „ყველა ძველი ჯგუფები უნდა მოისპონ და დაემორჩილონ ცენტრალური კომიტეტის მთლიან ხელმძღვანელობას. პარტია ეხლა უფრო მთლიანია, ვიდრე ოდესმე. არავითარი უთანხმოება პრინციპიალურ და ტაქტიკურ საკითხებში მის რიგებში არ არსებობს". (ადს).

საარჩევნო კამპანია პოლონეთში

ვარშავა, 9 თებერვალი. მიღებულია ცნობები მასიურ დაპატიმრებათა შესახებ დასავლეთ ბელორუსიაში. დაპატიმრებულებს შორის არის მუშურ-გლეხური მთლიანობის ბლოკის მთელი კომიტეტის შემადგენლობა გლუბოკოში. იქვე დაპატიმრებული არის ბელორუსთა კოოპერატიული ბანკის დირექტორი იარკავცი. ვილნოში დაპატიმრებულია რამოდენიმე კაცი, რომელთაც ბრალდება ბელორუსიის გრომადის წევრობა. (ადს).

წითლების გამარჯვება

შანხაი, 9 თებერვალი. პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, მთელ რიგ შეტაკებებში მდინარე ხანის მიდამოებში დაამარცხეს ხანკოუს ხელისუფლების ჯარები. უკანასკნელ დღეებში პარტიზანული რაზმები ხანკოუს მახლობლად მოქმედებენ. (ადს)

შანხაი, 9 თებერვალი. გონკონგიდან მიღებული ცნობით, რევოლიუციონურმა ჯარებმა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, დაიჭირეს ქალაქი კაინი (გუანდუნის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და გასწმინდეს ქალაქები პინხაიი, იანფუნი და ვანანი ცზიანის პროვინციაში. (ადს).

ლაყბობა განიარაღების შესახებ

პერტინაქსი კელოგის წინადადებების შესახებ

პარიჟი, 8 თებერვალი. იმ წინადადების გამო, რომელიც ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა წამოაყენა წყალქვეშა ომის აკრძალვის შესახებ, პერტინაქსი „ეკო დე პარი"-ში სწერს, რომ ასეთი წინადადება თავის დროზე შეტანილ იქნა ვაშინგტონის შეთანხმებაში საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ, მაგრამ იგი დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე. ასევე მარცხით დამთავრდა წყალქვეშა ტონაჟის განსაზღვრის ცდა „სამთა კონფერენციაზე" ჟენევაში (ინგლისის, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების და იაპონიის კონფერენციაზე).

კელოგის წინადადება პერტინაქსის სიტყვით გამოწვეულია ორი მოტივით: პირველი: უკანასკნელ წლებში იაპონიის წყალქვეშა ფლოტი თავისი ტონაჟით დაეწია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წყალქვეშა ფლოტს, მეორე —ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა პრეზიდენტის არჩევნების წინ სცდილობს „პაციფისტური ჟესტებით" მოატყუოს ამომრჩევლები.

ჩემბერლენი „თვალს უხვევს" ამერიკას

ლონდონი, 8 თებერვ. რეიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატაში გრძელდება კამათი მეფის სიტყვის საპასუხო ტექსტის გარშემო. ჩემბერლენი, შეეხო რა ჟენევის სამთა კონფერენციის მარცხს საზღვაო განიარაღების საკითხში, განაცხადა: „ინგლისის მთავრობა გულწრფელად სწუხს, რომ მარცხით დამთავრდა კონფერენციის ყველა მონაწილეთა ცდა, რომელიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ გაგრძელებულიყო 1922 წელში ვაშინგტონში დაწყებული საზღვაო განიარაღების შეზღუდვის საქმე".

ჩემბერლენი შეეხო ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისსა და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს შორის უნდა დაიდოს არბიტრაჟის შესახებ და განაცხადა, რომ „ომი ინგლისსა და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოუდგენელია". „მოსამზადებელი ომი ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წინააღმდეგ,—სთქვა ჩემბერლენმა,— არასოდეს არ იქნება ინგლისის პოლიტიკის საფუძველი. ინგლისის საზღვაო პროგრამა არ ისახავდა მეტოქეობის მიზნებს; მისი დანიშნულება იყო ინგლისის ინტერესების დაცვა". (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანელების დეკლარაცია

ტოკიო, 8 თებერვ. ნანკინში დაიხურა გომინდანის ალმასკომის პლენუმი. პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია „კომუნისტური შეთქმულების ჩაქრობის" შესახებ, ტან-ენ-კაი დაინიშნა მთავრობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ჩან-კაი-ში სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ. პლენუმმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ „მხოლოდ სუნ-იატ-სენის სამი რევოლიუციონური პრინციპი იხსნის ჩინეთს". ალმასკომი საჭიროდ სთვლის შექმნას ცენტრალური მთავრობა, გააუქმოს უთანასწორო ხელშეკრულებები, გააგრძელოს ჩრდილოეთის ექსპედიცია და მოიწვიოს ნაციონალური კრება".

ახალი „დოკუმენტები"

ტოკიო, 8 თებერვალი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით, კანტონის ხელისუფლებამ თითქო „ხელთ იგდო დოკუმენტები, საიდანაც ირკვევა, რომ კომუნისტები ფიქრობდნენ მარტის დასაწყისში კომუნისტური კონფერენციის მოწვევას კანტონში". (ადს)

სამხედრო კონფერენცია

პეკინი, 8 თებერვ. პეკინში იწვევენ ახალ სამხედრო კონფერენციას. შანდუნის პროვინციიდან პეკინში გამოწვეული არიან ჩჟან-ცზუნ-ჩანი და სუნ-ჩუან-ფანი. მუკდენს განზრახული აქვს დაიწყოს შეტევა ფინ-იუ-სიანისა და აგრეთვე შანსის წინააღმდეგ.

მუკდენის შტაბის ცნობით, ჩჟილის სამხრეთ ნაწილში მუკდენის ჯარებმა გაიმარჯვეს. (ადს)

გლეხთა მოძრაობა მანჯურიაში

პეკინი, 8 თებერვ. „ნორთ ჩაინა დეილი სტანდარტ" იუწყება, რომ მუკდენის ხელისუფლება იღებს ზომებს იუნ-ჩჟუ-განის წინააღმდეგ, რომელიც, გაზეთის სიტყვით, მანჯურიაშია და აგროვებს ჯარებს. მან მოახერხა 5.000 კორეიელისა და ჩინელის შეგროვება, რომლებიც „დიდი მახვილი"-ს (ღარიბ გლეხთა მებრძოლი ორგანიზაცია) კავშირის წევრებია. (ადს)

ბორის სტეფანოვის პროცესი

ვენა, 8 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ბორის სტეფანოვის პროცესის მეექვსე დღე დაიწყო მოწმეების დაკითხვით.

მოწმე ბრემახერმა თავის ჩვენებაში დახატა რუმინეთის ხელისუფლების იმ ტერორის საშინელი სურათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტატარბუნარის გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. მოწმე თვით შეიქნა რუმინეთის ხელისუფლების დევნის მსხვერპლი—მისი შვილი, რომელიც დააპატიმრა ოხრანკამ, დაპატიმრების შემდეგ უგზო უკვლოდ დაიკარგა.

მოწმეების სახით დაკითხეს აგრეთვე რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების რამოდენიმე თანამდებობის პირს, მათ რიცხვში პროფკავშირთა საბჭოს წევრს, შეინს. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ რუმინეთში სასტიკად სდევნიან დამოუკიდებელ პროფკავშირებს და რომ ხელისუფლება ცდილობს გასრისოს პროფმოძრაობა.

სტეფანოვის დამცველმა კრუეანუმ აღნიშნა, რომ ოხრანკა ბევრ მოწმეს ემუქრებოდა დაპატიმრებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მისცემდნენ ბრალდებისათვის არახელსაყრელ ჩვენებებს. (ადს).

მუშები მაკდონალდის წინააღმდეგ

ლონდონი, 8 თებერვ. მაკდონალდის გამოსვლა მუშათა მიტინგზე ლონდონში გადაიქცა მიტინგის მონაწილეთა ფართე დემონსტრაციად მაკდონალდის წინააღმდეგ. მაკდონალდის სიტყვას განუწყვეტლივ ფარავდა პროტესტებისა და დაცინვის ხმები. მიტინგის მომწყობი პირები შეეცადნენ გაეძევებინათ მუშები, რომელნიც სიტყვას აწყვეტინებდნენ მაკდონალდს. საქმე მივიდა ხელჩართულ შეტაკებამდე. (ადს)

განაჩენი შრეკის საქმეზე

ბერლინი, 8 თებერვალი. ლეიპციგის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი შრეკის და მისი თანამონაწილეების—კოხის და შულცის საქმეზე. შრეკს, რომელსაც ბრალად ედებოდა სამხედრო საიდუმლოებათა გამომჟღავნება, ყალბი დოკუმენტების დამზადება და დოკუმენტების მიყიდვა უცხო სახელმწიფოებისათვის, სასამართლომ მიუსაჯა 5 წლის ციხე. (ადს).

საიმონის კომისია

ადმინისტრატიული ზომები ბოიკოტის მომხრეების წინააღმდეგ

ლონდონი, 8 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მადრასის მთავარმა მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ყველა იმ პირთ, უკლებლივ, რომლებიც დადიან მადრასის საზოგადოებრივ ადგილებში, წინადადება ეძლევათ ერთი თვის განმავლობაში არ დაესწრონ იმ მიტინგებს, რომელთაც მოიწვევენ ეროვნული გლოვის მოწყობის მიზნით და საიმონის კომისიის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტის ნიშნად (ადს).

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

(საკ. კომპ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია)

მოჯამაგირეთა მნიშვნელოვანი მასების არსებობა ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში და მათი შემდგომი ზრდა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წინაშე აყენებს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების მიერ მოჯამაგირეთა შორის ყოველმხრივი მუშაობის სერიოზულ ამოცანას.

„ეს ფენები (მოჯამაგირენი), შესდგებიან რა მეტწილად პროლეტარიებისა და ნახევრად პროლეტარებისაგან, რომელთა არსებობის ერთად-ერთი ან მთავარი წყარო ქირაზე მუშაობაა, წარმოადგენენ პარტიის საიმედო დასაყრდენს მთელ მის პოლიტიკაში". (ს.კ.პ. (ბ) ცკას დადგენილებებიდან). ეს მდგომარეობა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს უკარნახებს, რომ მათ თავის ყოველდღიურ მოღვაწეობაში სოფლად მთავარი ყურადღება მიაქციონ მუშაობას მოჯამაგირეთა შორის, მათი ეკონომიური მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას, კლასობრივი შეგნების ამაღლებას და მათ სავსებით განთავისუფლებას კულაკობის უდიერი ზეგავლენისაგან.

უკეთებთ რა ჯამს მოჯამაგირეთა შორის მუშაობას ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ სოფლად მუშაობის მძიმე სპეციფიური პირობებისა, მაინც აქვს ადგილი გარკვეულ მიღწევებს შემდეგ საკითხებში: მოჯამაგირეთა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა და ეკონომიური ინტერესების დაცვის საკითხში, მოჯამაგირეთა პროფესიონალური და კომკავშირის ორგანიზაციებში ჩაბმისა და კავშირების მიერ სოფლად დაქირავებულ ძალებისადმი სამსახურის გაწევის საქმეში, სოფლად პროფორგანოების ჩამოყალიბების დარგში, მოჯამაგირეთა და მწყემსების წრიდან აქტივის შექმნის საქმეში, მოჯამაგირეთა მნიშვნელოვანი ნაწილის შრომის პირობების მოწესრიგება შრომის ხელშეკრულებების საფუძველზე და სხ.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შემდგომი განვითარებისა და არსებული ნაკლის თავიდან აცილების მიზნით, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია

ორგანიზაციულ დარგში

1. გაძლიერებულ იქნეს შემდგომი ჩაბმა მიწა-ტყის კავშირში მოჯამაგირეთა, რომელთათვის ქირაზე მუშაობა წარმოადგენს არსებობის ერთ - ერთ ან უმთავრეს წყაროს. ამასთანავე პარტიულ და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეთა კავშირში მიღების ფორმალური მხარეების თავის დროზე მოწესრიგებას, ამ მხრივ ადგილებზე არსებულ დაბრკოლებებისა და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას; კავშირში არ უნდა იქნენ დაშვებული ისეთი პირები, რომელთაც წესდების მიხედვით არა აქვთ ამის უფლება და კავშირიდან სისტემატიურად უნდა განიდევნონ ის პირები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ წესდების პირობებს.

2. მიწა-ტყის კავშირის საჭიროებათა უკეთ დაკმაყოფილებისა, სოფლად კავშირის ქვედა საფეხურის ორგანოების განმტკიცებისა და კავშირის მასიური მუშაობის განვითარებისათვის საჭირო საშუალებების გამოყოფის მიზნით, მოწონებულ იქნეს კავშირის საორგანიზაციო ქსელის არსებულ 4 საფეხურიან სტრუქტურიდან 3 საფეხურიან სტრუქტურაზე გადასვლა, კავშირის ქვედა საფეხურის ორგანოების საშუალებათა მათ განკარგულებაში დატოვებით. კავშირის ორგანოების ქსელის რეორგანიზაციის გატარების დროს უსათუოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი პირობები და კავშირის ხელმძღვანელობის მასასთან უფრო დაკავშირებისა და მისთვის სამსახურის უკეთ გაწევის აუცილებლობა. კავშირის ქვედა საფეხურის ორგანოების მოწყობა საჭიროა იმ ანგარიშით, რომ მათ შესაძლებლობა ექნეთ სამსახური გაუწიონ რამდენიმე ახლომდებარე სოფელს.

3. აღნიშნავს რა სუსტ მასიურ მუშაობას, ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს მიიღონ ზომები აღნიშნულ მუშაობის გასაცხოველებლად კავშირის მასების აქტივობისა და თვითმოქმედების აწევით, კავშირის სამუშაო ადგილებზე დანიშვნის პრაქტიკის აღმოფხვრით, საერთო კრებების რეგულიარული მოწვევით, მოჯამაგირეთა კომიტეტების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის წარდგენის შემოღებით, შრომის დაცვისა და კულტკომისიების შექმნით და მათი მუშაობის გაცხოველებით, მოჯამაგირეთა კომიტეტების წარმომადგენელთა პერიოდული თათბირების გაფართოებითა და სისტემატიზაციით, სადელეგატო კრებების მოწყობით იმ ადგილებში, სადაც ეს საჭიროა და სხვ.

4. აღიარებს რა მუშაობას მოჯამაგირეთა პროფაქტივის დაწინაურებისა და მომზადების დარგში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია, რომ გაძლიერებული ყურადღება მიექცეს მოჯამაგირეთა დაწინაურებას და მათ ჩაბმას მიწა-ტყის კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში. მოჯამაგირეთა კავშირის აქტივის კვალიფიკაციის აწევის მიზნით, აუცილებელია სპეციალური კურსების მოწყობა, რისთვისაც საჭიროა საშუალებების გამონახვა.

5. პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეთა, როგორც სოფლის პროლეტარიული ავანგარდის ჩაბმას ყველა საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; ამასთანავე ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა დაწინაურებულ მოჯამაგირეებს შორის და ყოვლნაირად უნდა დაეხმარონ მათ.

6. მოჯამაგირეთა შორის მუშაობაზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია:

ა) პარტორგანიზაციების მიერ მიწა-ტყის კავშირის ორგანოების ფრაქციების ანგარიშების სისტემატიურად მოსმენა;

ბ) კავშირის მუშაობის მდგომარეობის შემოწმება და შესწავლა;

გ) კავშირის ორგანოებთან ფრაქციების მოწყობა და მათი მუშაობის გამოცოცხლება.

დ) მოჯამაგირეთა შორის სამუშაოდ მომზადებულ პარტიულთა კადრების წამოყენება;

ე) სოფლის კომუჯრედების მიერ მოჯამაგირეთა სასარგებლოდ წარმოებულ მუშაობისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა და ზომების მიღება კომუჯრედების მოსაწყობათ იმ ადგილებში, სადაც მოჯამაგირეები ბევრია.

7. აღნიშნავს რა მოჯამაგირეთა მეტად არა საკმაოდ შემოსვლას პარტიაში, ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს მიიღონ ზომები შემდეგში, რათა სისტემატიურად მიიზიდონ პარტიაში მოჯამაგირეთა მოწინავე ელემენტები და ყოველნაირად გაუადვილონ მათ პარტიაში შესვლა (პოლიტიკური მომზადება, საქმის გაჭიანურების აღმოფხვრა, რეკომენდაციების მიღება და სხ.).

8. ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და კავშირის ორგანოების კომფრაქციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ მოჯამაგირეები ფართოდ ჩაებან ყოველდღიურ მუშაობაში ღარიბ გლეხობასთან ერთად.

9. ვინაიდან მოჯამაგირე ქალებს შორის სუსტია მუშაობა და ისინი საკმაოდ არ არიან ჩაბმული კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს მათ შორის მუშაობის გაძლიერებას და ხელმძღვანელ ორგანოებში, სპეციალური მუშა-ქალების გამოყოფას იმ ადგილებში, სადაც შედარებით უფრო მეტია მოჯამაგირე ქალები. პროფკავშირებმა, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირე ქალთა წრიდან სოფლის აქტივის გამოყოფას და მათ ჩაბმას კავშირის ორგანოებში, საბჭოებში, სადელეგატო კრებებში, კოოპერაციაში და სხ. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს მოჯამაგირე ქალების შრომის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და მათ ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესების დაცვას.

10. ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მოჯამაგირეთა შორის ახალგაზრდობის დიდი პროცენტის არსებობა მოითხოვს კომკავშირისა და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის ყოველნაირად გაძლიერებას ახალგაზრდა მოჯამაგირეთა შორის. ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციებმა ყოველგვარად ხელი უნდა შეუწყონ მიწა-ტყის კავშირის ორგანოებს ახალგაზრდა მოჯამაგირეების კავშირში მიზიდვის საქმეში და მათ შორის მასიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოებისა და პროფესიონალურ-აღზრდის საქმეში. კომკავშირში ახალგაზრდა მოჯამაგირეთა არა საკმაოდ ჩაბმის გამო, კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ახალგაზრდა მოჯამაგირეების კომკავშირში ჩაბმის მიზნით და მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ ახალგაზრდა მოჯამაგირეების პროცენტი და ხვედრითი წონა კომკავშირის სოფლის ორგანიზაციებში. ამასთანავე ერთად საჭიროა კომუჯრედების ქსელის განმტკიცება და გაფართოება იმ ადგილებში, სადაც ბევრია მოჯამაგირეები.

11. გარდა ზემოდასახელებულ ღონისძიებათა, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) სისწორით უნდა იქნას გამორკვეული მოჯამაგირეთა რაოდენობა და შემადგენლობა ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში და ამასთანავე აღრიცხულ უნდა იქნას დამქირავებელთა შემადგენლობა.

ბ) განმტკიცებულ უნდა იქნას ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობა იმ ადგილებში, სადაც უფრო მეტად არიან თავმოყრილი მოჯამაგირენი, და კავშირის დაბალი საფეხურის ორგანოებში;

გ) კავშირის ორგანოები თავის მუშაობაში გადაყვანილ უნდა იქნან მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვისა და გეგმიანობის საფუძველზე;

დ) გამოცოცხლებულ უნდა იქნას სარევიზიო კომისიების მუშაობა, რომელნიც ძალიან სუსტად მუშაობენ.

მოჯამაგირეთა ეკონომიური დაცვის დარგში

12. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას იმისაკენ, რომ ყოველმხრივ იქნას დაცული მოჯამაგირეთა ეკონომიური ინტერესები და გაუმჯობესდეს შრომის პირობები, განსაკუთრებით სამრეწველო-კულტურო ტიპის მეურნეობაში; ამასთანავე ამ მეურნეობაში მტკიცედ უნდა გატარდეს კანონთა კოდექსი შრომის შესახებ. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ შრომის ხელშეკრულება გავრცელდეს ყველა მოჯამაგირეებზე; ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანარიცხების რაოდენობა კულტფონდისა და დაბალი საფეხურის პროფორგანოების შესანახად არ უნდა აღემატებოდეს 2 პროცენტს. კავშირის ორგანოები შრომის ხელშეკრულებათა დადების დროს გადაჭრით უნდა შეეცადონ სამუშაო ხელფასის გადიდებას და აგრეთვე სამუშაო დღის განსაზღვრას სეზონური მუშაობის პერიოდში არა უმეტეს 10 საათით (დროებით წესების მიხედვით).

13. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღონ ზომები საბჭოებთან არსებული შემარიგებელი კომისიების მუშაობის გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სასწრაფოდ იქნას გარჩეული მოჯამაგირეთა საქმეები სასამართლოს ორგანოებში და საჩქაროდ იქნას მოყვანილი სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილებანი. აუცილებლად იქნას ცნობილი გამსვლელი სესიების პრაქტიკის შემოღება საჩვენებელი სასამართლოს პროცესით.

14. მოჯამაგირეთა სამუშაო დღის 10 საათით განსაზღვრის გამო მოზარდი მოჯამაგირეების (18 წლამდე) სამუშაო დღე განსაზღვრულ იქნას 8 საათის სამუშაო დღით. იმ მიზნით, რომ უკეთესად იქნას წარმოებული თვალყურის დევნება მოზარდ-მოჯამაგირეთა შრომის შესახებ არსებული კანონდებულებათა შესრულებაზე და აგრეთვე დაწესდეს კონტროლი შრომის ხელშეკრულებათა შესრულებაზე დამქირავებელთა მხრივ, აუცილებლად იქნას ცნობილი შტატგარეშე ასისტენტების ინსტიტუტების მოწყობა შრომის სას.-სამეურნეო ინსპექტორებთან. დაევალოს საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსთან და შრომის სახ. კომისარიატთან ერთად დაამუშაოს ეს საკითხი პრაქტიკულად. მოჯამაგირეთა სამუშაო ხელფასის მოწესრიგებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოზარდ-მოჯამაგირეთა შრომის ხელფასს იმ ანგარიშით, რომ მოზარდ-მოჯამაგირეებს სამუშაო ხელფასის ნაწილი მიეცეს ფულით.

14 ა) გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს შრომის ფარულ ექსპლოატაციას, რომელსაც ფარავენ ნამუშევარის წვლილის მიცემით როგორც შრომის ხელფასის ფორმას.

15. პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მოჯამაგირეთა კოოპერაციაში შეკავშირებისათვის; მათ ამ მიზნით უნდა გამოიყენონ კოოპერატივებთან არსებული ღარიბთა ფონდები. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეთა საჭიროებების დაკმაყოფილებას. „ზაკოოპზმა" უახლოეს ხანში უნდა წარუდგინოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ღარიბთა მოთხოვნილებებს ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაცია.

16. მოგვარებულ იქნას კავშირის დახმარება უმუშევართათვის; უმუშევრებს, განსაკუთრებით მწვავე უმუშევრობის პერიოდში აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება. მიღებულ იქნას როგორც წესი, რომ უმუშევარი მოჯამაგირენი, კავშირის წევრები, რომელთათვის დაქირავებით მუშაობა არის არსებობის ერთად-ერთი წყარო, პირველ რიგში იქნან მიღებული სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამუშაოზე.

17. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი, აღნიშნავს რა შრომის ინსპექციის სუსტ მუშაობას, სასოფლო მეურნეობის დარგში, საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნას ზომები ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამიერ-კავკ. შრომის სახ. კომისარიატმა ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს კომფრაქციასთან ერთად უნდა შეიმუშაოს კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სათანადო ნიადაგზე იქნას დაყენებული შრომის ინსპექციის მუშაობა სასოფლო მეურნეობის დარგში. შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს ზომები, რათა სასწრაფოდ გატარდეს ცხოვრებაში ახალი დებულება მოჯამაგირეთა სოცდაზღვევის შესახებ, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მიიღონ ზომები საექიმო დახმარების გაუმჯობესებისათვის.

კულტმუშაობის დარგში

18. მოჯამაგირეთა (კერძოთ მოჯამაგირე ქალთა) განსაკუთრებული კულტურული ჩამორჩენილობის გამო, აუცილებელია:

ა) გაძლიერდეს მუშაობა მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სახელმწიფო ხარჯზე. მიწა-ტყის კავშირმა ამ მიზნით უნდა გამოიყენოს ყველა ფინანსიური და ტეხნიკური შესაძლებლობანი;

ბ) უნდა გაძლიერდეს კავშირის კულტდაწესებულებათა (კლუბები, წითელი კუთხეები და სხ.) მუშაობა. კავშირის ორგანიზაციები პოლიტგანებს უნდა შეუთანხმდენ კავშირის კულტმუშაობის წარმოების შესახებ საკითხებში;

გ) კავშირის ორგანოებმა პოლიტგანებთან ერთად უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ მოძრავი კინო ემსახუროს სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშებს;

დ) გამომცემლობებმა უნდა მიიღონ ზომები პოპულიარული ლიტერატურის, გამოსაცემად ეროვნულ ენებზე მოჯამაგირეთა საჭიროების დაკმაყოფილებისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული უმცირესობის მოჯამაგირეთა კულტურულ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ და თავის დროზე დაკმაყოფილებას;

ვ) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების, პროფტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, სატრაქტორო კურსების და სხ. შევსების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოჯამაგირეთა ჩაბმა აუცილებელი რაოდენობით, რისთვისაც გამონახულ უნდა იქნას საჭირო თანხები;

ზ) გლეხთა გაზეთების რედაქციებმა უნდა გააძლიერონ მოჯამაგირეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საბჭოების გენერალური შემოწმება

(ანგარიშგების კამპანიისა და საუკეთესო სექციაზე კონკურსის ორგანიზაციისათვის)

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, უახლოეს მომავალში მოეწყობა საბჭოებისა და დეპუტატების ფართო ანგარიშგების კამპანია ამომრჩეველთა წინაშე, აგრეთვე კონკურსი ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოების საუკეთესო სექციაზე.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების მიხედვით, კამპანიამ უნდა ჩაიაროს **საბჭოთა ფართო დემოკრატიის** და იმ ამოცანების ნიშან ქვეშ, რომელნიც საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ დასახა **სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და სოფლად მუშაობის დარგში.**

ამ ამოცანებს უნდა შეეფარდოს მომავალი კამპანია, როგორც ორგანიზაციულ ტეხნიკურად, ისე თავისი პოლიტიკური შინაარსით.

დღევანდლამდე საბჭოების ანგარიშგების კამპანია ჩვეულებრივ უშუალოდ წინ უსწრებდა საბჭოების არჩევნებს. ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების ჩატარება მთელი საარჩევნო კამპანიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ამომრჩევლების წინაშე საბჭოებისა და დეპუტატების რეგულიარული პერიოდული ანგარიშგება მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს უშუალო კავშირის განმტკიცებას დეპუტატებსა და მათ ამომრჩეველ მშრომელთა შორის; ასეთი ანგარიშგება საბჭოების საქმიანობისა და დეპუტატების აქტივობის შემმოწმებელ იარაღს წარმოადგენს.

1925 წელს დამტკიცებული ქალაქის საბჭოების დებულებისა და თემთა საბჭოების მომქმედი დებულების თანახმად, თემისა და ქალაქის საბჭოები მოვალენი არიან რეგულიარულად, სამ თვეში ერთხელ მაინც, თავისი მოქმედების ანგარიში წარუდგინონ ამომრჩევლებს.

გარდა ამისა, „საბჭოს თვითეული წევრი, ამომრჩეველთა მოთხოვნილებით, ვალდებულია წარუდგინოს ამომრჩევლებს ანგარიში თავის საქმიანობის შესახებ საბჭოში".

საბჭოების მუშაობის საკითხების გარშემო გამართულ ყველა თათბირზე მცირე ყურადღება არ ექცეოდა ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე.

უკანასკნელ ხანებში ჩვენმა საბჭოებმა უკვე დაიწყეს ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, თუმცა საკმაოდ არ არის მოწესრიგებული ეს საქმე.

მაგალითად, 1927 წლის აპრილიდან სექტემბრამდე, ჩვენი ცნობების მიხედვით, ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს 220 საბჭომ.

უფრო უარესად არის დაყენებული დეპუტატების ანგარიშგების საქმე ამომრჩევლების წინაშე.

ამ მხრით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავიძარით გაყინული წერტილიდან.

რა მიზეზია, რომ არსებული კანონის მიუხედავად სათანადოდ ვერ ხორციელდება დეპუტატების რეგულიარული ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე?

მიზეზები შემდეგია:

პირველი: ადგილობრივმა მუშაკებმა ჯერ საკმაოდ ვერ შეითვისეს ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა საბჭოების მუშაობის გაცხოველებისა და გაძლიერებისათვის, საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის და სხვ.; მეორე: ყოველწლიური საარჩევნო კამპანიები, რასაც 4—5 თვე სჭირდებოდა, საშუალებას არ იძლეოდა, რომ კამპანიასა და კამპანიას შუა პერიოდში მოწყობილიყო აგრეთვე ანგარიშგების კამპანიაც. გარდა ამისა, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ რომ გაზაფხულისა, ზაფხულისა და შემოდგომის გახურებული სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დროს, თემის საბჭოს მუშაობა საგრძნობლად სუსტდება და ასეთ პირობებში რაიმე კამპანიის ჩატარება სოფლად შეუძლებელი და მიზანშეუწონელი ხდება.

ქალაქის საბჭოების ახალ დებულების თანახმად (რომელიც დაამტკიცა ცაკის ბათუმის სესიამ ამა წლის იანვარში) საბჭოს წევრები ამომრჩევლებს ანგარიშს უნდა აბარებდნენ ექვს თვეში ერთხელ მაინც, მშრომელებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცალკე საკითხებში კი ანგარიშგება უნდა ხდებოდეს რიგს გარეშეც.

ასეთი მოთხოვნილება უეჭველად უფრო მიზანშეწონილია და ადვილად შესასრულებელი, ვიდრე ანგარიშის მოთხოვნა სამ თვეში ერთხელ მაინც.

დეპუტატების რწმუნების განგრძობა და შემოდგომისათვის საბჭოთა არჩევნების გადადება საშუალებას გვაძლევს, რომ პირველად ორგანიზაციულად ჩავატაროთ საბჭოების ანგარიშგების კამპანია დეპუტატების პერიოდული ანგარიშგების წესით.

საბჭოების ანგარიშგებას ჩვენ ყოველწლიურად ვაწარმოებდით საარჩევნო კამპანიების დროს, ამიტომ ამ საქმეში საკმაო გამოცდილება მოგვეპოვება.

უნდა მოვახერხოთ წარსული კამპანიების დეფექტების გათვალისწინება და აღარ გავიმეოროთ უკვე ჩადენილი შეცდომები.

როგორც წინათაც ხდებოდა, მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა ანგარიში უნდა ჩააბაროს ხელისუფლების ქვედა ორგანიზაციებს (საბჭოებს), აგრეთვე უშუალოდ მუშა და მუშა-ქალების, გლეხებისა და გლეხ-ქალების და წითელ არმიელების მასებს, ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოებმა და დეპუტატებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ ამომრჩეველთა ფართო მასებს.

როგორც ქალაქად, ისე სოფლად საბჭოების ანგარიშს ჩვეულებრივ ამძიმებს ზოგადი ადგილების სიჭარბე, ლაპარაკი ჩვენი მიღწევების შესახებ საერთოდ და სხვა.

დეპუტატების ანგარიში უნდა წარმოადგენდეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის, არსებული დეფექტების და მიღწევების მოკლე, გასაგებ და კონკრეტიულ გადმოცემას; ეს გადმოცემა უნდა ხდებოდეს საბჭოთა ყრილობების დავალება-დადგენილებათა ასრულებისა და სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი ხასიათის ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელების თვალსაზრისით.

მომავალ კამპანიაში საჭიროა მოვახერხოთ, რომ **ყველა დეპუტატმა** ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს.

ძალიან ცუდათ არის დაყენებული საბჭოების წევრთა ფართო კადრების ჩაბმის საქმე ანგარიშგების კამპანიაში.

წარსული წლის ანგარიშგების კამპანიაში საბჭოთა დეპუტატები ძალიან სუსტად ან სულ არ იყვნენ ჩაბმულნი.

უმეტეს წილად ანგარიშს აბარებდნენ მხოლოდ პრეზიდიუმების წევრები, ისიც ყველა არა. ასეთივე სურათი იყო მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებში. აქაც უნდა მოვახერხოთ, რომ ანგარიშგების კამპანიაში ჩავაბათ მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების ყველა წევრი.

საჭიროა ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ადვილი საქმე არაა ანგარიშგების კამპანიაში საბჭოების ყველა წევრის აქტიურად ჩაბმა. პირველ ყოვლისა, საბჭოების ბევრი წევრი მორიცხვობას გამოიჩენს, უარს იტყვის იმ მიზეზით, რომ „მოხსენების გაკეთებას ვერ მოვახერხებ", „არასოდეს არ მქონია შემთხვევა"-ო და სხვა.

მართლაც, თუმცა მუშებისა და გლეხების ფართო მასების პოლიტიკური და კულტურული ზრდა დიდია, თუმცა საბჭოების წევრები შედარებით დიდად გაერკვნენ საზოგადოებრივ მუშაობაში, მაინც უმრავლესობისათვის (მეტადრე სოფლად) ჯერ-ჯერობით საკმაოდ ძნელია მოხსენების გაკეთება საბჭოს მუშაობის შესახებ. ამიტომ საჭიროა, რომ საბჭოებისა და მაზრების ალმასკომების სხდომებზე წინასწარ ჩატარებულ იქნას საინსტრუქციო მოხსენებანი, მიეცეს დეპუტატებს, სადაც ეს ტეხნიკურად შესაძლებელი იქნება, მოკლე, ადვილად წასაკითხი წერილობითი ანგარიში, მცირე, მხოლოდ მეტად საჭირო ციფრები და მარტივი დიაგრამები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატ-ქალების დაწინაურებას, რომლებმაც მოხსენება უნდა წაიკითხონ საბჭოების სახელით. შარშან აქა-იქ ანგარიში წაიკითხეს საბჭოების წევრმა-ქალებმა, რასაც ის მოჰყვა, რომ კრების ქალთა ნაწილმა მეტი აქტივობა გამოიჩინა.

დეპუტატმა ანგარიში უნდა გააკეთოს არა მარტო საბჭოს მუშაობის შესახებ საერთოდ, არამედ თავისი მუშაობის შესახებაც საბჭოში (მონაწილეობა სექციებში, კომისიებში, საბჭოს სხვადასხვა დავალების ასრულება. პლენუმებზე დასწრება, ამა თუ იმ საკითხების შეტანა, მუშაობა როგორც მიმაგრებული წევრისა და სხვა).

საანგარიშო მოხსენებას განიხილავს ამომრჩეველთა კრება და მას გამოაქვს დადგენილება, რომელშიაც შეაფასებს საბჭოს საქმიანობას და საბჭოს წევრების მუშაობას. დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს საბჭოს და მისი წევრების მუშაობის შეცდომები და პრაქტიკული წინადადებანი შემდგომი მუშაობის დროს სახელმძღვანელოდ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კრების მონაწილეებს სრული საშუალება უნდა ჰქონდეთ, რათა თავისუფლად და ფართოდ გააკრიტიკონ როგორც საბჭოს, ისე თვითეული დეპუტატის საქმიანობა. თუ ამომრჩევლები დეპუტატის საქმიანობას საბჭოში დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევენ, კრებას შეუძლია დადგენილება გამოიტანოს დეპუტატის უკან გამოწვევის შესახებ. გამოწვეული დეპუტატების მაგიერ კრება სხვა დეპუტატებს ირჩევს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მომავალ კამპანიაში ამომრჩევლებმა ფართოდ გამოიყენონ დეპუტატის უკან გაწვევის უფლება. უკანასკნელ ხანებში ამომრჩევლები ამ უფლებას იყენებენ, თუმცა საკმაოდ ვერა. ყოველ შემთხვევაში, 1927 წლის აპრილიდან სექტემბრამდე ქალაქისა და თემების საბჭოებიდან 88 დეპუტატი გამოუწვევიათ.

თუ რამდენად ფართოდ გამოიყენებენ ამომრჩევლები ხსენებულ უფლებას, ეს დიდათ არის დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე. არც ერთი პასიური, უმოქმედო დეპუტატი! ამ ლოზუნგით უნდა ჩაიაროს ანგარიშგების კამპანიამ.

უკანასკნელი შემადგენლობის საბჭოთა მუშაობის დრო საკმაო ვადაა დეპუტატის შესამოწმებლად; ეს საშუალებას აძლევს ამომრჩევლებს გაცხრილონ საბჭოების ისეთი წევრები, რომლებმაც ამომრჩეველ მშრომელების ნდობა არ გაუმართლეს, და ამით გააჯანსაღონ საბჭოების შემადგენლობა ახალი ძალებით.

ქალაქები და თემები ისევ უნდა დაიყონ უბნებად, როგორც საბჭოთა არჩევნების დროს.

დეპუტატები მომხსენებლებად უნდა დაინიშნონ იმ ამომრჩეველთა კრებებზე. რომლებმაც ისინი ამოირჩიეს საბჭოში.

რომ საანგარიშო კრებებს ამომრჩეველთა ფართო მასები დაესწრონ, ამისათვის საჭიროა, რომ კრებები დაინიშნონ ამომრჩეველებისათვის შესაფერ დროს და მოხერხებულ ადგილას. ანგარიშის ჩაბარების დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სამი დღით ადრე მაინც.

ასეთი ვადა დასდო ქალაქის საბჭოების ახალმა დებულებამ და ეს ვადა მიღებულ უნდა იქნას სოფლებისათვისაც.

საჭიროა, რომ ამომრჩევლებს ისიც ეუწყოს, თუ პერსონალურად რომელი დეპუტატი წაიკითხავს საანგარიშო მოხსენებას.

შეტყობინება უნდა ხდებოდეს განცხადების გამოკვრით სოფლებში, დაწესებულებებში, წარმოებებში, თვალსაჩინო ადგილებზე, განცხადებების მოთავსებით კედლის გაზეთებში და ადგილობრივ პრესაში, სახელობითი უწყებების დაგზავნით, სადაც ეს საჭიროდ იქნება ცნობილი (მაგალითად, ქალაქებში-შეკავშირებულ ამომრჩეველთა სახელზე) და სხვა საშუალებებით საბჭოების შეხედულების მიხედვით.

რამდენი ამომრჩეველი უნდა დაესწროს კრებას, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს? „დებულება სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ" ისეთსავე ნორმას აწესებს, როგორც „მოქალაქეთა საერთო კრებებისათვის", სახელდობრ, კრება კანონიერად ითვლება, თუ მას ესწრება ამომრჩეველთა არა ნაკლებ ერთი მესამედისა. (დებულების მე-32 და 45 მუხ). ახალი დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ ამომრჩეველთა კრებას კანონიერად სთვლის, თუ მას ესწრება საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა არანაკლებ ნახევრისა (გვ. 83). ამრიგად, ამომრჩეველთა კრებებისათვის ქალაქებში ნორმა გადიდებულია. ამის მიზეზს ის წარმოადგენს, რომ, როგორც გვიჩვენა საანგარიშო და საარჩევნო კრებების უკანასკნელ წლების გამოცდილებამ ქალაქებში, ამ კრებებს ესწრება ამომრჩეველთა არა ნაკლებ 50 პროც.

თანახმად ქალაქის საბჭოების დებულების მე-83 მუხლის მეორე ნაწილისა, „თუ კრებაზე არ გამოცხადდა ამომრჩეველთა აღნიშნული რიცხვი (50 პროცენტი), ინიშნება, არა უადრეს სამი დღისა პირველ კრების შემდეგ, ხელმეორე კრება, რომელიც კანონიერად ითვლება, რამდენი ამომრჩეველიც არ უნდა დაესწროს". ასეთ მითითებას მომქმედი „დებულება სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ" არ შეიცავს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სოფლებშიაც აღნიშნული წესი ძალაში უნდა იყოს.

იმისათვის, რომ ამომრჩეველთა კრებას საშუალება მიეცეს მთელი ყურადღება მიაქციოს მოხსენების საკითხებს და საქმიანად განიხილოს ისინი, საანგარიშო კრებებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული რაიმე სხვა საკითხების დასმა (გარდა საკითხისა სახალხო მსაჯულების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის ინსტრუქციით).

დღის წესრიგის დატვირთვა რაიმე სხვა საკითხებით ზიანის მეტს ვერაფერს ვერ მოიტანს. ასეთი გამოცდილება ჩვენ გვაქვს.

პარტიისა და მთავრობის დირექტივა ამბობს, რომ „კამპანია უნდა ტარდებოდეს წითელ არმიის, ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეთა, ქალთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, გლეხკომთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით". ამ ორგანიზაციების მონაწილეობა შეიძლება გამოიხატებოდეს აქტიურ მომზადებაში კამპანიის ჩატარებისათვის, საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციაში კამპანიის გარშემო და აქტიურ, ორგანიზაციულ გამოსვლაში თვით საანგარიშო კრებებზე. ამ მიზნით საჭიროა პრაქტიკაში იქნას შემოღებული აღნიშნული ორგანიზაციების წევრთა წინასწარ თათბირების მოწყობა, ამ თათბირებზე განხილულ იქნას ჩასატარებელ კომისიის ამოცანები და მისი ორგანიზაციის ცალკე საკითხები.

განვლილ წლების საკუთარი გამოცდილება, და აგრეთვე მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში ჩატარებულ საანგარიშო კამპანიების გამოცდილება ამტკიცებს, რომ კამპანიის წარმატება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქალაქისა და სოფლის ყველა ორგანიზაციების წევრები კამპანიის ყველა პროცესებში. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ პროფესიონალური კავშირები. საჭიროა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანოებმა თითონ დაამუშაონ კამპანიაში მონაწილეობის დაწვრილებითი გეგმა და მისცენ პერიფერიას კონკრეტული მითითებანი.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ საანგარიშო კამპანიის გარშემო არ განვითარდება პოლიტიკური ბრძოლა, და დავკმაყოფილებულიყავით კამპანიის მხოლოდ საორგანიზაციო-ტეხნიკური მომზადებით. ამ კამპანიამ არ შეიძლება არ ჰპოვოს გამოძახილი ქალაქისა და სოფლის ანტიპროლეტარულ ჯგუფებში. აშკარაა, რომ ნეპმანი ქალაქში და კულაკი სოფლად უშუალოდ და თავის აგენტურის საშუალებით სცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებებს და შეეცდებიან თავის მიზნებისათვის გამოიყენონ საბჭოების ნაწილობრივი განახლება. ჩვენ ამ ცდებს ისე, როგორც ყოველთვის, უნდა დავუპირდაპიროთ ქალაქის მუშებისა და სოფლის ღარიბ გლეხების ორგანიზაციულად შეკავშირებული მასა.

კონკურსი ქალაქის, თემის და სოფლის საბჭოს საუკეთესო სექციაზე უნდა ჩატარდეს საანგარიშო კამპანიასთან ერთად და მასთან მჭიდრო ორგანიზაციული დაკავშირებით.

სექციების მუშაობის შემოწმება ამავე დროს არის თვით საბჭოს მუშაობის შემოწმება. ისეთ საბჭოს მუშაობა, რომლის სექციები ცუდათ მუშაობს, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, ვინაიდან საბჭოს შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი მუშაობა, შეეხოს ქალაქის და სოფლის ცხოვრების ყველა დარგებს, შექმნას თავის გარშემო მუშათა და გლეხთა აქტივის ფართო ფენა მხოლოდ იმ პირობით, თუ სწორად არის მოწყობილი მისი სექციები და სწორად არის დაყენებული მათი მუშაობა.

სექციების მუშაობის გამოკვლევა ჩატარდება პრესის საშუალებით—გამოკვლევის მუშაობაში მუშგლეხკორთა ორგანიზაციების მთელი ქსელის ჩაბმით—და სამაზრო ალმასკომების და ქალაქის საბჭოების აპარატების (საორგანიზაციო განყოფილებების) საშუალებით.

ამ კამპანიის მოწყობაში დიდი როლი ეკისრება მთელს ჩვენს პრესას. გაზეთების რედაქციებმა აუცილებლად უნდა ჩაატარონ თავის მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ორგანიზაციების წევრთა სპეციალური თათბირები ცენტრში და ადგილებზე და დაწვრილებითი მითითებები მისცენ მათ სექციების გამოკვლევის მუშაობაში მათი მონაწილეობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. რათა წაქეზებულ იქნას და უკეთ იქნას ჩაბმული კამპანიაში მუშგლეხკორთა ქსელი, საჭიროა, რომ გაზეთების რედაქციებმა გამოჰყონ სპეციალური ფონდები პრემიების მისაცემად იმ კორესპონდენტებისათვის, რომლებიც უკეთ ასწერენ ამა თუ იმ სექციის მუშაობას კონკურსის შედეგების მიუხედავად.

მაზრის ალმასკომები ვერ შესძლებენ ჩაატარონ გამოკვლევა მხოლოდ თავის საინსტრუქტორო აპარატის დახმარებით, ამიტომ ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნან ალმასკომების პრეზიდიუმების წევრები, განყოფილებათა გამგეები და ყველა სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

სათანადო სექციების მუშაობის გამოკვლევაში, მუშაკების ადგილებზე გაგზავნით და თავის ადგილობრივ ორგანოების საშუალებით, მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა დაინტერესებულმა სახალხო კომისარიატებმა და სხვა ცენტრალურმა ორგანოებმა (მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა, ფინსახკომმა, ჯანსახკომმა, განათლების სახ. კომისარიატმა, კოოპერატიულმა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და სხვ.).

იმ ღონისძიებათა წარმატება, რომლებსაც ატარებენ ცენტრალური ორგანოები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სათანადო სექციების მუშაობაზე. ამიტომ ეს ორგანოები არ შეიძლება დაინტერესებული არ იყონ იმაში, თუ როგორ მუშაობენ სექციები ადგილებზე.

საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ წარმატებით გაატარონ ცხოვრებაში ესა თუ ის საქმე, ღონისძიება და სხვა, თუ მათი გატარების დროს ისინი დაეყრდნობიან საბჭოებში და სექციებში შეკავშირებულ მუშებსა და გლეხებს. უამისოდ თვითეული დაწყებული საქმე გადაიქცევა ბიუროკრატიულ გამოგონებად, გადაიქცევა მხოლოდ ცირკულიარების, ბრძანებების და დადგენილებების თაიგულად.



არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ

საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებელი სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად ადგილებზე დაწყებულია გაცხოველებული კამპანია. ამ სესხის გასაღების უაღრესად დიდ მნიშვნელობის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა.

ამჟამად ჩვენ გვსურს მშრომელი მასების ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: საქმე იმაშია, რომ საგლეხო სესხის მიზანს შეადგენს სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. აქედან იბადება კითხვა, ვინ უნდა იყოს უფრო დაინტერესებული ამ სესხის გასაღებით და ვინ უნდა შეიძინოს მისი ობლიგაციები?

წარმოებაში ჩაბმული მუშების ერთი ნაწილის თვალსაზრისით საგლეხო სესხის ობლიგაციები უნდა ჩეიძინონ მხოლოდ გლეხებმა.

სწორია თუ არა ასეთი შეხედულება?

რა თქმა უნდა არა.

სესხი, რა მიზნითაც არ უნდა იქნეს გამოცემული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ერთნაირად შეუწყობს ხელს მშრომელი ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

მმართველი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირად არის დაინტერესებული როგორც წარმოების აღორძინებით, ისე სასოფლო მეურნეობის განვითარებით; ერთი მათგანის ზედმეტად განვითარება და მეორის უყურადღებოდ მიტოვება იქნებოდა დიდი დანაშაული ხელისუფლების მიერ, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორშიაც იმყოფება საბჭოთა რესპუბლიკები გარსშემორტყმული კაპიტალისტური სახელმწიფოები.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მთავრობამ ორას მილიონიან საინდუსტრიალიზაციო სესხის განაღდებისთანავე, რომლის დანიშნულება ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შეწყობა იყო, აუცილებელ საჭიროებად სცნო ასმილიონიან საგლეხო სესხის გამოცემაც სასოფლო-მეურნეობის განმტკიცებისათვის.

მშრომელთა ფართო ფენებმა როგორც მუშა-მოსამსახურეებმა, ისე გლეხობამაც საინდუსტრიალიზაციო სესხის გასაღებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა, რამაც შესაძლებელი გახადა მისი გადაჭარბებით გასაღება.

ასეთივე აქტივობის გამოჩენაა საჭირო საგლეხო სესხის გასაღების საქმეშიაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშა-მოსამსახურეებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საგლეხო სესხის ობლიგაციების შეძენაში.

ამიტომ, საჭიროა რათა პროფკავშირებმა და ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა გააცხოველონ აგიტაცია - პროპაგანდა მუშა-მოსამსახურეთა შორის საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გასასაღებლად.

პროფკავშირის წევრი.

სესხის რეალიზაციის კამპანია რკინისგზის ხაზზე

თბილისის რკ. გზის უბნის მასშტაბით გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანია უკვე დაიწყო. იმ მიზნით, რომ ეს კამპანია წარმატებით ჩატარდეს თბილისის საუბნო კომიტეტმა ყველა ადგილკომებს დაუგზავნა მიმართვა, რომლის მიხედვით: მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დღის წესრიგში დასმული უნდა იქნეს საკითხი საგლეხო სესხის მნიშვნელობის შესახებ; მოწვეულ უნდა იქნეს ხაზზე მომუშავე მუშების (რემონტის, სეზონური, მილებზე და ტელეგრაფის ქსელის გაყვანაზე მომუშავეთა) თათბირები, რომელზედაც დასმულ უნდა იქნეს საინტერესო მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ; ეს საჭიროა იმისათვის, რომ მუშებმა ჩაატარონ მასიური და ინდივიდუალური აგიტაცია გლეხებს შორის, რომლებთანაც მათ კავშირი აქვთ.

გამოყენებულ უნდა იქნეს ადგილობრივი კედლის გაზეთები და მუშკორები ობლიგაციებზე ხელის მოწერის პირობების ფართოდ გასაშუქებლად; წითელ კუთხეებში მოწყობილ უნდა იქნეს საუბრები სესხის მნიშვნელობის და მისი განაღდების შესახებ უახლოეს ხანაში მუშათა კლუბებში უნდა მოეწყოს სპეციალური საღამოები მოხსენებებისა და საუბრების ჩატარებით. ამასთანავე ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ცოცხალი გაზეთები. კამპანიის ჩატარება უნდა დამთავრდეს ა. წ. - მარტამდე.

თბილისის საშეფო საზოგადოებაში

საგლეხო სესხის რეალიზაციის კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღების მიზნით, თბილისის საშეფო საზოგადოებამ მოიწვია თავის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია, რომელზედაც ამხ. მგალობლიშვილმა გააკეთა საინსტრუქციო მოხსენება საგლეხო სესხის კამპანიაში მონაწილეობის მიღების შესახებ და სესხის მნიშვნელობაზე.

მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა მიიღოს საშეფო საზოგადოებამ სესხის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

კონფერენციამ შეიმუშავა ცალკე გეგმა კამპანიაში მონაწილეობის შესახებ და დაადგინა ჩატაროს რაიონულ საბჭოების კრებები და გამოყოს მუშაკები მაზრაში დასაგზავნად. შეფ-მუშაკები მივლინებულ იქნებიან ადგილებზე სესხის კამპანიის ჩასატარებელ სამეულების განკარგულებაში.

კონფერენციამ შესაფერი დირექტივები და ინსტრუქციები მისცა საშეფო უჯრედებს კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სოფლად გასაგზავნ შეფ-მუშაკებს ევალებათ გლეხებს განუმარტონ სესხის მნიშვნელობა, გააღვივონ აქტივობა გლეხებში ობლიგაციების შესაძენად და საერთოდ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

საშეფო უჯრედებმა და საშეფო რაიონულ საბჭოებმა უკვე დაგზავნეს 9 თებერვალს შეფ-მუშაკები თავიანთ საშეფო სოფლებში და თემებში.

სესხის ქრონიკა

ვინ არის შემდეგი

კავკასიის წითელდროშოვან არმიის № რადიო-ბატალიონის წითელარმიელებმა ხელი მოაწერეს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის 2.300 მანეთის ობლიგაციაზე.

რეალიზაცია დაიწყო

ა.-კ. ფინსახკომში მიღებული ცნობების თანახმად, გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია დაიწყო მთელ ამიერ-კავკასიაში.

ინტერესი სესხისადმი იზრდება

გლეხობა თანდათან მეტ ინტერესს იჩენს სესხისადმი. ამიერ-კავკასიის ფინსახკომი ყოველდღე იღებს მოთხოვნილებებს ობლიგაციებზე.

გადასახადებისა და სხვ. წარმატებით აკრეფა, რაშიაც დაინტერესებულია ფინსახკომი, დამოკიდებულია საფინანსო - საგადასახადო სექციების მუშაობაზე; მიწათმოწყობის, მიწათსარგებლობის, ტყით სარგებლობის ღონისძიებათა გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სხვ., რაშიაც დაინტერესებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, დამოკიდებულია სასოფლო - სამეურნეო სექციების მუშაობაზე; მშრომელთა განათლების, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაშიაც დაინტერესებული არიან განათლების სახ. კომისარიატი და ჯანსახკომი, დამოკიდებულია კულტურულ - განმანათლებელ და საექიმო - სასანიტარო სექციების მუშაობაზე; გზებისა და ხიდების მშენებლობა, კეთილმოწყობა, ადგილობრივ მრეწველობის წარმატება და სხვ., რაშიაც დაინტერესებული არიან ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო და ს. მ. უ. საბჭო, დამოკიდებულია საგზაო-საამშენებლო, სამრეწველო სექციების მუშაობაზე და სხვ.

გარდა თვით გამოკვლევის მუშაობაში მონაწილეობისა, ყველა ცენტრალურმა დაწესებულებებმა უნდა მიიღონ კონკურსში მატერიალური მონაწილეობაც ფონდების გამოყოფით სათანადო სექციების დასაჯილდოებლად.

სექციების დაჯილდოებას შეიძლება ექნეს სხვადასხვა ფორმები, ჩვენს მატერიალურ საშუალებათა და თვით სექციის ხასიათის მიხედვით. ჯილდოები შეიძლება დაწესდეს შემდეგი: სიგელი ცაკის პრეზიდიუმის სახელით, ფულადი ჯილდო, დაჯილდოება სასოფლო-სამეურნეო მანქანით და სხვა ინვენტარით ან შეღავათის მინიჭება მათ შეძენაში, დაჯილდოება ბიბლიოთეკით, ამბულატორიის მოწყობა და სხვ.

მიზანშეწონილი იქნება, თუ სამაზრო აღმასკომებიც დააჯილდოებენ რამოდენიმე სექციას.

გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს არა მარტო საუკეთესო სექციები, არამედ უფრო ცუდებიც იმ მიზნით, რომ საუკეთესო სექციების მაგალითის მიხედვით დანარჩენებმა ისწავლონ, თუ როგორ უნდა იმუშაონ, უფრო ცუდ სექციების მაგალითის მიხედვით კი უნდა ისწავლონ, თუ როგორ არ უნდა იმუშაონ.

ამას გარდა სექციების გამოკვლევის ამოცანას წარმოადგენს იმ მიზეზებისა და პირობების შესწავლა, რომელთა შედეგია სექციების ცუდი მუშაობა.

საკითხის ამ მხარეს უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება.

სექციების გამოკვლევა ამოცანად უნდა ისახავდეს გამოარკვიოს ორგანიზაციისა და სტრუქტურის სისწორე, მუშაობის შინაარსი და სიდიდე, სექციების კავშირი საბჭოსთან და მშრომელთა მასებთან, სექციების მუშაობის განსაკუთრებული პირობები და სხვ.

კონკურსის ჩასატარებლად სამაზრო აღმასკომებთან და ცაკის პრეზიდიუმთან იქმნება კონკურსის ჟიური ყველა დაინტერესებულ ორგანოების, პრესის და ადგილობრივ საბჭოებისა და აღმასკომების წარმომადგენლების მონაწილეობით.

საკითხს სექციების დაჯილდოების შესახებ სწყვეტს ცაკთან დაარსებული ჟიური, რომელსაც საამისოდ უდგენენ რამოდენიმე სექციას კონკურსის სამაზრო ჟიური, ცენტრალური ორგანოები და პრესა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მთელი კამპანია სრულ გამოხატულებას უნდა პოულობდეს როგორც პარტიულ-საბჭოთა და პროფესიონალურ, ისე საუწყებო პრესაში, კედლის გაზეთებში და სხვ.

საბჭოებისა და დეპუტატების ანგარიშების და სექციების კონკურსის ჩატარების შედეგების სწორ, ყოველმხრივ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ორგანოების შემდგომი პრაქტიკული მუშაობისათვის და ღონისძიებათა გატარებისათვის საბჭოების კიდევ უფრო გამოსაცოცხლებლად, საბჭოთა დემოკრატიის განსამტკიცებლად, და ჩვენი საქალაქო და სათემო საბჭოების ორგანიზაციისა და მუშაობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

მთელი კამპანია უნდა ჩატარდეს სრულიად აუჩქარებლად, უაღრესად გულმოდგინედ, ორგანიზაციულ - ტექნიკურ და პოლიტიკურ მომზადების პირობებში, სერიოზულად მოფიქრებულ, დამუშავებულ გეგმის მიხედვით. ამაშია წარმატების საწინდარი.

შ. მათიკაშვილი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება

ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, თუ მას საჭირო ხელმძღვანელობას უწევს მასზე უფრო მაღლა მდგომი ორგანიზაცია. ეს ასეც ხდება. უმაღლესი ორგანოები ხელმძღვანელობენ თავიანთ ქვემდებარე ორგანიზაციებს, მაგრამ იმის საკითხი რა ნაყოფი მოაქვს სინამდვილეში ამ ხელმძღვანელობას დაბლა მდგომ ორგანიზაციებისათვის, ასრულებენ თუ არა ისინი იმ დავალებებს, რომლებსაც ცენტრიდან ღებულობენ? არსებობს თუ არა ამისათვის საჭირო კონტროლი? სოფლად დღეს მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციები არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს გლეხკომები, რომელთა მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ღარიბი გლეხობისათვის. საქართველოს თითქმის ყველა თემებში არსებულ სათემო გლეხკომებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევენ სამაზრო გლეხკომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სათემო გლეხკომების საქმიანობა სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ყველგან ეს ასე როდია. სათემო გლეხკომების ხელმძღვანელებად ზოგან არჩეული არიან ისეთი პირები, რომელთაც ძალიან დიდი სურვილიც რომ ქონდეთ, საქმის უცოდინარობის გამო ვერ ძალუძთ ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. სწორედ ასეთ გლეხკომებზე არის საჭირო გაძლიერებული ხელმძღვანელობის გაწევა. აქ საკმარისი არაა მარტო ინსტრუქციების გადაგზავნით დაკმაყოფილება. ხშირად ადგილებზე ამ ინსტრუქციების შინაარსს კარგად ვერც კი იგებენ. ესეც რომ არ იყოს, არავითარ ინსტრუქციას არ შეუძლია ისეთი ნაყოფის გამოღება, როგორც ცოცხალ კავშირს. რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს ამ ამოცანის განხორციელება, ცოცხალი კავშირი უნდა გაძლიერდეს სამაზრო და სათემო გლეხკომებს შორის.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი გარემოებაც. ხშირად სამაზრო გლეხკომები გზავნიან ადგილებზე დირექტივებს საჭირო მუშაობისათვის, მაგრამ პასუხს არ სთხოვენ ამ უკანასკნელთ, თუ რამდენად გაატარეს მათ ცხოვრებაში გამოგზავნილი დირექტივები. ეს კი ძალზე აფერხებს მუშაობას.

აუცილებლად საჭიროა სამაზრო გლეხკომებმა მოსთხოვონ სათემო გლეხკომებს ანგარიში, თუ რაგვარ მუშაობას აწარმოებენ ეს უკანასკნელნი და რამდენად შესრულეს მათ ამომრჩევლების მიერ მიცემული დავალებანი.

მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი ნაყოფიერი მუშაობის წარმოება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამაზრო გლეხკომების ხელმძღვანელთა მიერ.

გ-ლი.

ამ საქმის დაყოვნება შეუძლებელია

მთიანი-თუშეთი, თელ. მაზრა

საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც მთიანი-თუშეთია. საკმარისია მის გეოგრაფიულ მდებარეობას თვალი გადავავლოთ, რომ აღნიშნული ნაკლის მთავარი მიზეზი ცხადლივ გადაიშალოს. მთიანი თუშეთი ირგვლივ მყინვარი მთებით არის შემოფარგლული; თუშებს მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში შეუძლიანთ მთების გარედ გამოსვლა. ეს გარემოება აფერხებს თუშეთის დაკავშირებას თავის სამაზრო ცენტრთან, მით უმეტეს, რომ გზა თელავიდან მთიან-თუშეთამდე სრულიად არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საცალფეხო ბილიკებს. ეს ბილიკები კი ისეთი საშიშარი სავალია, რომ მასზე ზაფხულშიაც შეუძლებელი ხდება უშიშრად მგზავრობა.

მენშევიკური ხელისუფლების დროს ეს კუთხე თითქმის სანახევროდ განადგურდა. მოისპო რამდენიმე სოფელი, (მაგ. „ჭონთიო", „ჰელო"), სტატისტიკურ ცნობების მიხედვით მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მით უმეტეს მამაკაცები მეზობელ ერებთან ბრძოლაში თითქმის განახევრდა; მენშევიკების დროს აოხრებული სოფლები ჯერ კიდევ ფეხზე ვერ წამომდგარან.

საქართველოს გასაბჭოებიდან ორი წლის შემდეგ თუშებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ხუთი წელია, რაც თუშებს აღარავინ აწუხებს და მოსვენებით ცხოვრობენ. საბჭოთა ხელისუფლებამ თუშებს ეს დიდი სიკეთე მოუტანა, მაგრამ აქ შეჩერება შეუძლებელია. მთიანი თუშეთი უნდა შეუერთდეს საბჭოთა საქართველოს კულტურულ მაჯის ცემას, ეს კი მაშინ, მოხდება, როდესაც ეს მხარე დაუკავშირდება სამაზრო ცენტრს სათანადო გზით.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც „თელავ-მთიანი თუშეთის" გზის გაყვანა დაიწყო. 11 ვერსი უკვე გაყვანილია, მაგრამ შემდეგ ისიც დაინგრა.

გასულ წელს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თელავის სამაღმასკომის ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, აირჩია საგზაო კომიტეტი, მგონი თანხაც იყო გადადებული, მაგრამ საქმე დღემდე არ დაწყებულა. თუშები გზის გაყვანის შესახებ ცნობამ ძალზე ააღფრთოვანა, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა.

რა აჩერებს მუშაობის დაწყებას? თუ ამისთვის საჭირო თანხები არ არის, მთიანი-თუშეთის ზემო და ქვემო ალვანის მცხოვრებნი ნაწილობრივ იკისრებენ მის გაღებას. (გეგმის და ხარჯთაღრიცხვისათვის ხომ მათ გაიღეს საჭირო თანხა) საჭიროა მხოლოდ სურვილი საქმისადმი და ინიციატივის ხელში აღება.

თელავის სამაზრო აღმასკომმა ამ საქმეს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ საგზაო კომიტეტმა მომავალი გაზაფხულიდან მაინც დაიწყოს მუშაობა.

გ. მარელაშვილი.

წერილებიდან

როდის მოაშორებენ?

ს. ასურეთი, თბილისის მაზრა

ასურეთის კოოპერატივში ბუხჰალტერის თანამდებობაზე მსახურობს ყოფილი ვაჭარი, ამჟამად საკუთარი წისქვილის მქონე ვინმე ალბ. შლეხტი. წინედ ის კონკურენციას უწევდა ამავე კოოპერატივს. ეს მოქალაქე დღეს პროფკავშირის წევრადაც ითვლება. საინტერესოა ვიცოდეთ ვისი პროტექციით მოხდა ის ამ თანამდებობაზე?

„ლელი".

ერთი ყიდულობს, მეორე მალავს

ს. ზატანი, რაჭის მაზრა

ამ სოფელში მცხოვრებ შეძლებულმა გლეხმა გიგო ჯოხაძემ გასულ წელს ქორქე იოსელიანისაგან იყიდა სავენახე ადგილი და ის შეინარჩუნა ვითომც გასაშენებლად იჯარით აღებული. ამავე წელში მეზობელ ვალიკო ჯაფარიძისაგან იყიდა ტყე. აღსანიშნავია, რომ გიგო ჯოხაძის ამ უკანონო მოქმედებას ხელს აფარებს თემსაბჭოსა და გლეხკომის წევრი, მისი ბიძაშვილი ილიკო ჯოხაძე. ონის თემსაბჭომ უნდა მიიღოს ზომები მათ წინააღმდეგ.

სამართლე.

სოფლის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი**, კიცხში (შორ. მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— **კლუბი.** სოფ. წინანდალში ახლო ხანში დამთავრდება კლუბის მოწყობა.

— **სკოლა.** შროშის გლეხებმა (შორ. მაზ.) სკოლის შენობის ასაგებათ გაიღეს 1038 მანეთი.

— **პრა-კურის სკოლები.** მოლითის თემის 5 სოფელში (შორ. მაზ.) ეწყობა პრა-კურის სკოლები.

— **ბოგირები.** ღანირ-ჭაგანში (ქუთ მაზ.) პატარა მდინარეებსა და ხრამებზე გაკეთებულ იქნა 15 ბოგირი.

— **ქარხანა.** ნოსირში (სენაკ. მაზ.) შეუდგნენ კრამიტის ქარხნის აგებას.

— **ნაპირების გამაგრება.** სოფ. თოხლიაურში (მანავის თემი) გლეხები შეუდგნენ შუა სოფელში მდებარე მდინარის ნაპირების გამაგრებას.

— **ძლიმის გლეხკომმა** მოაწყო ხე-ტყის და აგურის ქარხნები.

მუშათა ცხოვრება

შაბათს, 11 თებერვალს მიეწყობა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია თბილისის ქვილის სამაურხალო აღინიკაში. მუშკორებმა თავი უნდა მოიყარონ მუშათა სასახლეში სრულ ორის ნახევარზე.

ფულის მახე

ორი თვეა, რაც პლეხანოვის პროსპექტზე, კინო „დარბაზი"-ს ეზოში მოწყობილია სამხეცე, რომელშიაც სიმართლე უნდა ითქვას, საინტერესო გარეული მხეცები არიან. მაგრამ ყველა მხეცების ნახვა და მათი გაცნობა კარგია, როცა ამას საჩვენებელი ხასიათი აქვს და სათანადო ახსნა-განმარტებაც არის ამის გარშემო მცოდნეთა მხრით.

მაგრამ, აქ ასე არ არის. სამხეცეში ადგილი აქვს გულუბრყვილო მოქალაქეთა აშკარა გაყვლეფას და მატყუარობას, რაც საბჭოთა სინამდვილეში ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სამხეცეში შესვლისას იძულებული ხართ იყიდოთ პროგრამა, რომელიც 20 კაპ. ღირს. უამისოდ ვერ გაიგებთ რომელი გარეული ცხოველი რომელ ჯიშს ეკუთვნის. შესვლა ღირს 75 კაპ. ამას ემატება 20 კაპეიკიც, ისე, რომ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან სამხეცეს ნახვით მიუწვდომელი ხდება მხეცების ნახვა.

გარდა ამისა, შიგ, სამხეცეში მოწყობილია კიდევ სხვადასხვა ფულის მახე, რომლებსაც დამსწრენი ძლიერ ეტანებიან და იყვლიფებიან. გამართულია ე. წ. „ცოცხალი ქალ-ობობა", რომლის ნახვა ღირს 25 კაპ. აქ ნამდვილ ყვლეფასა და აფიორას აქვს ადგილი. არავითარი „ქალ-ობობა" აქ არ არსებობს, არამედ ეს არის უბრალო ფულის მახე, რომლითაც საშინლად ყვლეფს სამხეცეს პატრონი მოქალაქეებს.

თბ. აღმასკომმა და მისმა ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და სამხეცეს ადმინისტრაციას მეტი თავაზიანობა მოსთხოვოს მოქალაქეთადმი. ე. წ. „ცოცხალი ქალი—ობობა" და სხვა ასეთი ფულის მახეები უნდა მოისპოს სამხეცეში.

ყ—ნი.

უყურადღებოდ ნუ დაგვტოვებთ

(ქუთაისის ბარიტის ქარხანა)

ქუთაისის ბარიტის ქარხანაში მუშაობს 23 მუშა-მოსამსახურე, რომლებიც ირიცხებოდენ სურსათ გემოვნების კავშირის წევრებად. 1926 წ 13 აგვისტოში ბარიტის ქარხნის მუშები გადარიცხეს სამთამადნო კავშირში, რომელიც მოთავსებულია ჭიათურაში და სიშორის გამო კავშირის თავმჯდომარეს ჯერ კიდევ არ დაუთვალიერებია ქარხანა და არ გაცნობია მუშაობის პირობებს.

ისიც უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მუშებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა. კოლექტიურ ხელშეკრულებაში გამოტოვებულია ისეთი მუხლები, რომლების შეტანა კოლხელშეკრულებაში აუცილებელი იყო. ეს მოხდა იმიტომ, რომ კავშირის თავმჯდომარე არ იყო გაცნობილი წარმოების ხასიათს და მუშების შრომას.

ბარიტის სარეცხ ბარაბანზე მუშაობს ოთხი კაცი და რეცხავენ დღეში, 700—800 ფუთ ბარიტს. ერთი აყრის სარეცხ ბარაბანს, მეორე აბრუნებს მას და ორი იღებს გარეცხილს და აწოდებს ბარიტის გამრჩევ მუშებს დაზგაზე, ისე, რომ თითოს ხელში გაივლის 500-დან 800 ფუთამდე ბარიტი, ასეთ მძიმე პირობებში [illegible] მუშაობა ბარიტის ქარხნის მუშებს და მათი ხელფასი კი მომატების მაგიერ შემცირდა.

სამთამადნო კავშირმა არ უნდა დასტოვოს უყურადღებოდ ქუთაისის ბარიტის ქარხნის მუშები და დრო გამოშვებით უნდა ათვალიერებდეს მათაც.

დ.

კედლის გაზეთი არ გამოდის

კავკასიის წითელდროშოვან ლაშქრის სტამბის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები ძალიან გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ისინი თავსაც არ იწუხებენ კედლის გაზეთის გამოსაცემად. 22 იანვარს, როდესაც საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი გლოვობდა ლენინის გარდაცვალების დღეს, აღნიშნულ სტამბის სარედაქციო კოლეგიას აზრადაც არ მოსვლია კედლის გაზეთის გამოცემა და 1905 წლის 9 იანვრის ამბებისა და ლენინის მოღვაწეობის გაშუქება მასში.

საჭიროა ახლა მაინც გამოიღვიძოს სარედ. კოლეგიამ და წინასწარვე მიიღოს ზომები 23 თებერვლისათვის კედლის გაზეთის გამოსაცემად.

[illegible]

მუშაობა უმჯობესდება

(კოლოფების ქარხანაში)

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს კულტკომისია თავის მუშაობას, უმთავრესად, აწარმოებს ქარხანაში არსებულ წითელ კუთხეში, სადაც მოთავსებულია წიგნთსაცავ-სამკითხველო.

წითელ კუთხეში მოწყობილია სხვადასხვა განყოფილებები, როგორიცაა საწარმოო, [illegible], სამხედრო, ქალთა, ავიაქიმის; პროფწრის და სხვ. სამკითხველოში წიგნებიც მოიპოვება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ქართული ლიტერატურა ძალიან ცოტაა, რასაც კულტკომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

კულტკომისიამ უკანასკნელ ხანებში მოაწყო ქართული წერა-კითხვის, სანიტარული და სახანძრო წრეები, სადაც იკითხება ლექციები სხვადასხვა თემებზე. გარდა ამისა ამას წინად კულტკომისიამ მოახდინა სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა და განზრახული აქვს ქარხანაში ჩამოაყალიბოს მუშკორთა წრეები სამ ენაზე, ქართულზე, რუსულზე და სომხურზე.

ვანო.

მტვირთველ მუშებში

26 იანვარს, შესდგა თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200 კაცი. დღის წესრიგში იყო: მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების დადების შესახებ და სად. უფროსის ამხ. ლევაჩიჩავას მოხსენება საერთო წესების შესახებ სადგურებში.

კოლექტიური ხელშეკრულება მუხლობრივ გააცნო კრებას სატ. კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრმა ამხ. დ. ორჯონიკიძემ. ახალი ხელშეკრულება დადებულია ა.-კ. რკინისგზის სამმართველოსთან და მასში შეტანილია მთელი რიგი ახალი მუხლებისა მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ძველ ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული სამგზავრო ბილეთებით სარგებლობა, რაზედაც მტვირთველი მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ. ახალი ხელშეკრულებით კი ყველა მტვირთველებს ეძლევა სასურსათო ბილეთები, ისე როგორც სხვა რკინისგზელებს.

დატვირთვაც ყველა სადგურებზე გაუმჯობესებულია 5 პროც. სპეცტანისამოსად მუშებს წელიწადში ერთხელ ეძლევათ: ბრიზენტის შარვალი და ხალათი, ტყავის წინსაფარი, ხელთათმანი და თავზე გადასახურავი. ყოველდღიური ფუთობრივი გამომუშავებაც გაუმჯობესებულია 6—7 პროც. მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ აგრეთვე ერთი თვის შვებულება, რომელიც დღემდე ყველას არ ეძლეოდა.

ლევაჩიჩავამ აღნიშნა მრავალი სავალდებულო მისაღები წესები რკ.-გზის სადგურებში, რომელიც მუშებმა მიიღეს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

მუშა ხიდისთაველი.

მუშკორთა წერილებიდან

ცოლის [illegible] გუმბრის ქუჩა, სახლი № 25 მ. [illegible] მოქ. კალმახელიძე საშინლად სტანჯავს და სცემს თავის ცოლს. დღე არ გავა, რომ კალმახელიძემ არ მოიყვანოს სახლში [illegible] და არ აწიოკოს თავისი ცოლი. [illegible] ქალთა განყოფილება, ყურადღება მიაქციე უმწეო ქალს.

ჩხარული.

აფერისტების თარეში. მუხრანის ხიდის ორთავე მხარეს აფერისტებს მოწყობილი აქვთ რაღაც სათამაშოები, რომლებშიც ითრევენ გამვლელ მუშებს და უცარიელებენ ჯიბეებს. მილიცია, მოსპე აღნიშნული სათამაშოები.

რაჭველი ვანო.

კულტ. მუშაობის გეგმა. თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომთან არსებულმა კულტკომისიამ შეიმუშავა კულტმუშაობის გეგმა, რომლის ძალით ახლო მომავალში კომისია მოაწყობს უფასო საღამოს მომუშავეებისა[illegible]თვის და მათი ოჯახის წევრებისათვის.

მუშა.

უსუფთაობა სანატორიუმში. (სურამი). სურამის რკ. გზის სანატორიუმის სამზარეულოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. საჭმელში ხშირად შეხვდებით სხვადასხვა ჭიებსა და ბუზებს. 31 იანვარს, ერთმა ავადმყოფმა კატლეტთან ერთად ტარაკანიც გადასანსლა შუაზე. სანატორიუმის ადმინისტრაციამ დაიცვას სისუფთავე სამზარეულოში.

ავადმყოფი.

ა.-კ. ცაკში

ა.-კ. ცაკის მესამე სესია ბაქოში

ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კ. ცაკის მესამე სესია მოწვეული იქნება ქალაქ ბაქოში 10 მარტს. სესიის დღის წესრიგი: 1) ბაქოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს მოხსენება, 2) სამეურნეო საკითხი (გზების შესახებ), 3) ა.-კ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, 4) დებულება ა.-კავკასიის და მასში შემავალ რესპუბლიკათა საბიუჯეტო უფლებების შესახებ და 5) ა.-კ. ცაკის მიერ გამოცემულ დეკრეტების და დადგენილებათა დამტკიცება.

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭო

ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით, ფიზკულტურის ა.-კ. უმაღლეს საბჭოში მელიხოვის და პარულის ნაცვლად დანიშნული არიან ს. ბარქაია და ა. ფროლოვი.

ქალთა საერთაშორისო დღე

ა.-კ. ცაკის და ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარების ხელმძღვანელობა დაევალა ა.-კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმს.

საქ. ცაკში

გლეხკომების სამაზრო ყრილობაზე დასასწრებლად

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და ცენტრალური გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი, გუშინ გაემგზავრა ოზურგეთში გლეხკომების ყრილობაზე დასასწრებლათ. ამხ. კ. ხომერიკი გლეხკომების სამაზრო ყრილობაზე გააკეთებს მოხსენებას გლეხკომების მუშაობაზე, ამოცანებზე და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მიზნებზე და დანიშნულებაზე.

ომის და შრომის ინვალიდებისათვის

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო ნაწილს — დამატებით იმ თანხების, რომლებსაც სამაზრო აღმასკომები თვიურ პენსიების სახით ურიგებენ თავის საშუალებებიდან შრომის და ომის ინვალიდებს, ამ თვეში (თებერვალში) გადაუგზავნოს მაზრებს—5.496 მანეთი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად მოსამზადებელი პრაქტიკული მუშაობა დაიწყება 1928—29 სასწავლო წლიდან.—სავალდებულო-საყოველთაო სწავლების შემოღება დაკანონებული იქნება 1935—36 სასწავლო წლიდან.—სავალდებულო - საყოველთაო სწავლების შემოსაღებათ დაიხარჯება 67.797.000 მანეთი.

საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად პირველი პროექტი შედგენილი იქნა 1925 წელს. ამ პროექტით საყოველთაო-სავალდებულო სწავლება შემოღებული უნდა ყოფილიყო 10 წლის განმავლობაში, რისთვისაც საჭირო ხარჯები პროექტში გათვალისწინებული იყო მთელი საქართველოსათვის (ავტონომიურ რესპუბლიკებიანათ) 274 მილიონ მანეთის რაოდენობით. ამავე წელში ეს გეგმა გადახალისებულ იქნა მეორე ვარიანტით და ხარჯები შემცირებულ იქნა 261 მილიონამდე.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამავე წელში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ შეიმუშავა 2 გეგმა, პირველი გეგმა ხარჯებს ითვალისწინებდა 172 მილიონის რაოდენობით, ხოლო მეორე გეგმა—154.500.275 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ ორივე ეს გეგმა დასკვნისათვის გადასცა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას, რომელმაც ხარჯები შეამცირა 99.883.700 მანეთამდე, ხოლო სასკოლო მშენებლობის ვადა 10 წლის მაგიერ განსაზღვრა 15 წლით.

1927—28 სასწავლო წელში, აღნიშნულ გეგმის გარეშე განათლების კომისარიატმა მე-15 პარტყრილობის დადგენილების თანახმად შეადგინა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების ახალი მტკიცე გეგმა, რომლის მიხედვით საყოველთაო-სავალდებულო სწავლება შემოღებული იქნება 7 წლის განმავლობაში. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად სამზადისი-პრაქტიკული მუშაობა დაიწყება 1928—1929 სასწავლო წლიდან და დასრულდება 1934—35 წელს.

1928—29 სასწავლო წლიდან 1931—32 სასწავლო წლის ჩათვლით ე. ი. პირველ 4 წლის განმავლობაში სწავლა იწარმოებს საყოველთაო წესით, ხოლო 1932—33 წლიდან 1934—35 სასწავლო წლის ჩათვლით სწავლა იწარმოებს როგორც სავალდებულო.

1935—36 სასწავლო წლიდან დაკანონებული იქნება სავალდებულო-საყოველთაო სწავლის შემოღება მთელ საქართველოში.

გეგმაში აგრეთვე დაწვრილებით გათვალისწინებულია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სამზადისი მუშაობა ყოველ წელიწადს.

გეგმა ითვალისწინებს: 1) ყოველ წლის მიხედვით სასკოლო ასაკის (8—11 წლამდე) ბავშვების მოძრაობას, რომლებმაც უნდა იარონ 1-ლ საფეხურის სკოლებში.

2) არსებულ ჯგუფებით სასკოლო ასაკის ბავშვების დაკმაყოფილებას.

3) ახალი ჯგუფების გახსნას მოსამზადებელ პერიოდში.

4) გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებულია მასწავლებელთა საჭირო რაოდენობა და მათი მომზადების საქმე.

5) ხარჯები, რომლებიც საჭირო იქნება არსებულ სკოლების შესანახად და ახალი სკოლების გასახსნელად.

6) ახალი სკოლების აგება, არსებულ სკოლების შეკეთება-გაფართოება და მათი ყოველმხრივ მოწყობა.

ამრიგად, მოსამზადებელ პერიოდში გაიხსნება იმდენი სკოლა, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების დაკანონებისდღიდან არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე.

ამ დროისთვის გამოვა უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომლის ძალით ყველა მშობელი და ბავშვის მეურვე ვალდებული იქნება ბავშვი უსათუოდ მიაბაროს სკოლაში.

ამავე გეგმის მიხედვით საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოსაღებათ მთელ საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკებიანათ) სულ დაიხარჯება 67.797.0000 მანეთი.

23 და 25 თებერვლის დღესასწაული

მუშათა კლუბების მონაწილეობა დღესასწაულებში

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ყველა მუშათა კლუბების გამგეობებს გაუგზავნა ცირკულიარი წითელი არმიის 10 წლის თავის და საბჭოთა საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის დღესასწაულების ჩატარების შესახებ.

თანახმად ცირკულიარისა, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების კინოსალექციო-საექსკურსიო ბიურო ყველა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში აწყობს ლექციებს. მოხსენებებს და საუბრებს შემდეგ თემებზე:

1. წითელი არმია და პროფკავშირები, 2. წითელი არმიის ათი წლის თავი და სამხედრო მნიშვნელობის მორიგი ამოცანები, 3. საკავშირო კომპარტია—ბელადი და ორგანიზატორი წითელი არმიისა, 4. საბჭოთა კავშირის თავდაცვა და მოსახლეობის გასამხედროება, 5 წითელი არმიის როლი ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში, 6. წითელი არმია და სამოქალაქო ომი მხატვრულ ლიტერატურაში, 7. პროფკავშირთა როლი სამოქალაქო ომში, და 8. საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავი.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა წითელი არმიის 10 წლის და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულების ჩატარების გეგმა, რომელიც შეიმუშავა აღმასკომთან არსებულ დღესასწაულების ჩამტარებელმა კომისიამ.

გეგმის მიხედვით, დღესასწაულების წინა დღეებში გაიმართება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომები. დღესასწაულების დღის ქალაქში და მაზრის თემებში გაიმართება დემონსტრაციები და მიტინგები.

დღესასწაულების წინა დღეებში მოეწყობა მუშებისა და გლეხების ექსკურსიები ყაზარმებში წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების პირობებთან გასაცნობათ.

გეგმის დამტკიცების შემდეგ პრეზიდიუმმა წითელარმიელთა კონფერენციის მოსაწვევათ გადადო 430 მანეთი, ხოლო 1000 მანეთი ჯარის ნაწილებში დღესასწაულებისათვის სამზადისი მუშაობის ჩასატარებლად.

აგრეთვე პრეზიდიუმმა დაადგინა წითელარმიელთა და ფლოტის სახლი განთავისუფლოს ყოველგვარი კომუნალურ გადასახადისაგან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ა.-წ. 1 თებერვლისათვის ამიერ-კავკასიაში შეგროვილი იყო 5.742.216 მანეთის რაოდენობით. აქედან: აზერბეიჯანში — 2.935.782 მან., სომხეთში —992.187 მანეთი და საქართველოში—1.814.247 მან.

გასულ წლებთან შედარებით, სას.-სამეურნეო გადასახადის აკრეფა წელს გაცილებით უკეთ მიმდინარეობს და კამპანიის დასასრულისთვის, ე. ი. 1 აპრილისათვის გადასახადი აკრეფილი იქნება მთლიანათ.

წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

ზაჰესის ენერგიაზე წარმოებების გადასაყვანად დანიშნული სპეციალური კომისიის ცნობით თბილისის ფაბრიკა-ქარხნების და წარმოებების გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე დღემდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თამბაქოს ტრესტის წარმოებიდან ზაჰესის ენერგიაზე უკვე გადაყვანილია მე-3 თამბაქ. ფაბრიკა. მე-2 თამბ. ფაბრიკის გადაყვანა დასრულდება ამ დღეებში და დაწყებულია მუშაობა 1-ლ თამბ. ფაბრიკასთან ენერგიის მისაღებ მოწყობილობათა დასადგმელად.

სატყეო ტრესტის წარმოებიდან მუშაობა მუშაობს ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად სწარმოებს გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში და სახერხ ქარხანაში (მადათოვის კუნძულზე) ტყავ-ტრესტის წარმოებების გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე ამჟამად სწარმოებს გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების დამუშავება, რაც დასრულდება ერთ თვეში.

პოლიგრაფიული ტრესტის წარმოებებიდან ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანილი იქნება ყველა სტამბები. მე-5 სტამბა ზაჰესის ენერგიას მიიღებს 15 თებერვლიდან. 1-ლი სტამბა ამჟამად ზაჰესის ენერგიით მუშაობს. მე-4, მე-3 და მე-6 სტამბების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, რადგან პოლიგრაფტრესტს განზრახული აქვს ამ სტამბები გაერთიანება.

ლითონტრესტის წარმოებიდან ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად მზადება სწარმოებს ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში. საარტილერიო-მექანიკური ქარხანასა და 26 კომუნარის სახელობის ქარხნებში ენერგიის მიმღები მოწყობილობები დაიდგმება ახლო ხანში. რკინისგზის გადაყვანას ზაჰესის ენერგიაზე ხელს უშლის ტრანსფორმატორების უქონლობა. რკ. გზის სადგური კი ზაჰესის ენერგიითაა განათებული.

ახლო ხანში ზაჰესის სინათლე გაყვანილი იქნება მთავრობის სასახლეშიაც.

ტრამვაი ამჟამად თითქმის სავსებით ზაჰესის ენერგიით მუშაობს.

პრემია ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის

ამიერ-კავკასიის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებზე წესდება ყოველწლიური პრემია.

ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებზე პრემიების გაცემა დაწესებულია ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად და კულტურულ მიღწევების უფრო მკაფიოთ ასახვის და განმტკიცების მიზნით.

პრემიით შეიძლება დაჯილდოვებული იქნეს ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ რომელიმე ეროვნების ენაზე. ნაწარმოების თემად აღებული უნდა იქნეს რევოლუცია ან რევოლუციის შემდგომი ხანა. იმ ავტორების ნაწარმოები, რომლებიც ამიერკავკასიაში არ ცხოვრობენ, თავისი შინაარსით დაკავშირებული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ცხოვრებასთან.

შეჯიბრზე წარმოსადგენ ნაწარმოებთა ზომათ დაწესებულია პოეტურ ნაწარმოებისათვის—1.000 სტრიქონი, დრამატიული ნაწარმოებისათვის—3 მოქმედება და დანარჩენისათვის—5 ნაბეჭდი ფურცელი.

დაჯილდოებული შეიძლება იქნეს ნაწარმოები, როგორც დაბეჭდილი რომელიმე გამოცემაში, აგრეთვე ხელთნაწერი.

სულ დაწესებულია ექვსი პრემია: ერთი პირველი პრემია—2.000 მანეთი, ორი მეორე პრემია—თითო 1.000 მან. და სამი მესამე პრემია თითო—500 მანეთი.

პრემიების გასანაწილებლად ამიერ-კავკ. ცაკის მიერ ყოველწლიურად ინიშნება განსაკუთრებული ჟიური 15 კაცის შემადგენლობით.

ჟიურის მუშაობის შედეგები გამოქვეყნებული იქნება არა უგვიანეს სამი თვისა, პრემიალური წლის დამთავრების შემდეგ. პრემიალური წელიწადი იწყება 7 ნოემბერს და თავდება 6 ნოემბერს.

ალგეთის ქვის მადნების დამუშავება

თბილისში ახალი ქარხნების აგების და საბინაო მშენებლობის გაძლიერების გამო, მეტად გაიზარდა მოთხოვნილება საამშენებლო ქვაზე. ქვის კრიზისს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ზაჰესის მთავარი საგუბარი აღარ უშვებს მტკვარის მიერ წამოღებულ ქვებს.

ამას გარდა, ილევა თბილისის ფარგლებში საშენებლად გამოსადეგ ქვის მადნები. საამშენებლო ქვის დამზადებას ამჟამად აწარმოებს საზ-ბა „სამშენი" და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები, მაგრამ მათ მიერ დამზადებული ქვა სავსებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

ამის გამო თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ მოახდინა ლენინის რაიონის, სოღოლაკის, სოღანლუღის და სანდარის ქვის მადნების მარაგისა და ღირსების გამოკვლევა. გამოირკვა, რომ ყველაზე მდიდარი და საუკეთესო ღირსებისაა სანდარის ქვის მადნები, რომლებიც მდებარეობს მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირას, სოფ. მარნეულისა და პატარა დუნდუკს შორის. ეს მადნები 2 ვერსითაა დაშორებული რკინის გზას, რაც ააღვილებს ქვის თბილისში გადმოგზავნას.

თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით ალგეთის რაიონში მოეწყობა ქვის დამამუშავებელი მექანიკური ქარხანა. ქარხანასთან მოეწყობა საკომპრესორო სადგური, საბურღი, მექანიკური ქვის სამტვრევი, სახელოსნო, წყალსაქაჩი სადგური, 63 ცხენის ძალიანი ელსადგური, ბინები მუშებისათვის, ამბულატორია, სასადილო და სხ.

ქარხნის სავსებით მოწყობა დაჯდება 110.700 მანეთი. ქარხანა წლიურად დაამზადებს 35.000 კუბიკურ მეტრ საამშენებლო ქვას, რაც სავსებით დააკმაყოფილებს თბილისის მოთხოვნილებას.

ამხ. ს. ობოლაძის ხსოვნას

(მისი ვერაგულათ მოკვლის 5 წლის თავის გამო)

10 თებერვალს, ხუთი წელი სრულდება, მას შემდეგ, რაც მოღალატე მენშევიკების მუხანათურმა ხელმა იმსხვერპლა რევოლიუციის დაუღალავი მუშაკი ამხ. საშა ობოლაძე და მასთან ერთად ორი წითელი მეთაური — სანიკიძე და ჩუბინიშვილი.

ამხ. საშა პარტ - მობილიზაციით, ჩაუდგა სათავეში 1 დივიზიის უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლას, სადაც მუშაობდა სამხედრო კომისრის თანამდებობაზე. ამხ. ობოლაძის ენერგიულმა მუშაობამ დიდი კვალი დააჩინა სკოლას. მან აღზარდა მუშებისა, და გლეხების შვილები — წითელი მეთაურები, რომელთაც საპასუხისმგებლო ადგილები უკავიათ წითელ ჯარში. 1922 წ. 7 სექტემბერს ამხ. ობოლაძის მეთაურობით დივიზიის სკოლა გაიგზავნა ხევსურეთში ჩოლოყაშვილის ბანდების წინააღმდეგ. აქ მან თავის რაზმთან ერთად, ღირსეულათ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. ამის შემდეგ ის ბრუნდება თბილისში. არ გაუვლია ერთ თვეს, რომ ამხ. ობოლაძე სკოლის იმავე კურსანტებით სასწრაფოდ გაიგზავნა გურიაში მენშევიკ - ყაჩაღებთან საბრძოლველად. ამხ. ობოლაძემ აქაც მტკიცეთ შეასრულა მასზე დავალებული საქმე, მაგრამ ბოლოს უმუხთლა ბედმა. ოზურგეთიდან სამი ვერსის მანძილზე, როდესაც ამხ. ობოლაძე ბრუნდებოდა ერთ - ერთ სოფლის კრებიდან, მას დახვდა 25 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელმაც აუტეხა სროლა. ამხ. ობოლაძემ გამოიჩინა მისთვის ჩვეული გმირობა. ის ცოცხალი არ დანებდა მტრებს. იბრძოდა, სანამ ვაზნები გამოელევოდა. ბოლოს კი გული გაუგმირეს დაუნდობელი ტყვიით და მასთან ერთად სიცოცხლეს გა-

მოასალმეს ორი წითელი მეთაური.

ამხ. ობოლაძეს კარგად იცნობდა რკინისგზის მუშები. მისი ხსოვნა იქნება უკვდავი. მისი სახელი და ამაგი განსაკუთრებით დაუვიწყარი იქნება ახლობელი ამხანაგებისა და თანამებრძოლთა გულში.

დ. ჭანკვეტაძე.

რიონჰესის მშენებლობის საკითხი უმაღლეს საკავშირო ორგანოებში

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. ბ. ჭიჭინაძისაგან, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოში მიღებულია შემდეგი ცნობა:

შესდგა საკავშირო საგეგმო კომისიის ელექტროფიკაციის სექციის საგანგებო სხდომა, რომელზედაც დასმული იყო სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისა და ამასთან დაკავშირებით რიონის ჰიდრო-ელსადგურის აგების საკითხი. თათბირს დაესწრენ გამოჩენილი სპეციალისტები—ა. გორევი, მ. შატილოვი, ვ. ლეპეშინსკი, ნ. ვაშკოვი, გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ივანოვ-სმოლენსკი, საკავშ. ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. ციურუპა და სხვ.

თათბირზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. შიშკოვი, რომელმაც განმარტა ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერების საჭიროება და აღნიშნა, რომ ამ ამოცანის შესრულებას აბრკოლებს მოძრაობის მოუგვარებლობა. სურამის უღელტეხილზე. ამჟამად სურამის უღელტეხილზე დღე-ღამეში შეიძლება გატარებულ იქნეს მხოლოდ 19 წყვილი საზარგო მატარებელი, იმ პირობით, თუ სამგზავრო მატარებელთა რიცხვი დღე-ღამეში არ გადააჭარბებს 5 შემადგენლობას. ამასთანავე 5 წლიანი გეგმის თანახმად ნავთის პროდუქტების გადაზიდვა უნდა გაძლიერდეს და 1929—30 წელს უნდა მიაღწიოს 94 მილიონ ფუთს. ამ რაოდენობის პროდუქტების გადატანა რკინისგზით შეუძლებელია და რომ ეს რაოდენობა შემცირდეს, გადაწყვეტილია ახალი ნავთსადენის გაყვანა. 1931—32 წელს კი, საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია ნავთის საექსპორტო პროდუქტების რაოდენობა აყვანილ იქნეს 128 მილ. ფუთამდე. ამგვარად საჭირო იქნება, რომ სურამის უღელტეხილმა ყოველდღიურად გაატაროს 24 წყვილი საზარგო მატარებელი.

ა.-კ. რკინისგზებით, სურამის უბნის არსებულ მდგომარეობაში, ამ ტვირთების გადატანა შეუძლებელია, თუ ორთქლის ენერგიის მაგიერ არ იქნა შემოღებული ელექტრო-ენერგია. ელექტრო-ენერგიას კი საკმაო რაოდენობით, მომხსენებლის აზრით, ვერ მივიღებთ ზაჰესიდან, ვინაიდან ზაჰესის ენერგიაზე თბილისის წარმოებების გადაყვანის შემდეგ გადარჩენილი თავისუფალი ენერგია არ იქნება საკმარისი უღელტეხილის საელექტროფიკაციოთ.

შემდეგ მომხსენებელი ასაბუთებს, რომ საჭიროა არის დაუყოვნებლივ იქნეს გაცემული შესაფერი კრედიტები რიონჰესის სამუშაოთათვის. რიონის ჰიდრო-ელსადგურის აგება უნდა დამთავრდეს 1931 წლის პირველ თვეებში. ამავე ხნისათვის ტექნიკურად შესაძლებელი იქნება ახალი ნავთსადენის გაყვანის დამთავრება და ამგვარად მივაღწევთ ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერებას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც საჭიროთაა ცნობილი, რომ რიონის ჰიდრო-სადგურის აღმშენებლობის დაუბრკოლებლივ საწარმოებლად გაღებულ იქნეს 1 მილიონი მანეთი მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში.

ამის შესახებ თათბირმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე.

თათბირი ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამ დღეებში შესდგა ცენტრალური ანტირელიგიური კომისიის თათბირი, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებისათვის.

თანახმად შემუშავებული გეგმისა, ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარება უნდა დაიწყოს ორი თვით ადრე ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულის დაწყებამდე. კამპანიის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა. უნდა შესდგეს მათი თათბირები კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად და მომხსენებლებისათვის თეზისების შესამუშავებლად. პროპაგანდის დაწყებამდე ლექტორებს ინსტრუქციები უნდა მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ცეკასა და თბილისის კომიტეტის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

პროპაგანდის ჩატარებაში გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე რადიო და „მეცნიერებისა და ტექნიკის" საღამოები. რადიოს საშუალებით ხანგამოშვებით (თვეში 2—3 ჯერ) გადაცემულ უნდა იქნეს მოხსენებები ანტი-რელიგიურ თემებზე. ყურადღება უნდა მიექცეს თურქთა, ებრაელთა, სომხეთა და სხვა ეროვნებათა მორწმუნეებს შორის ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერებას, უნდა დაიწყოს პროპაგანდა მუსულმანთა დღესასწაულ „მაგერრამა"-ს, სომხური „სუბ-სარქისი"-ს წინააღმდეგ.

სოფლებში მიმავალ წითელარმიელებს უნდა მიეცეთ აგრეთვე დავალება ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად ადგილებზე.

მუშათა კლუბების ეკრანებზე ნაჩვენები უნდა იქნას ანტირელიგიური ხასიათის ფილმები.

პროპაგანდის წარმატებით ჩატარებისათვის თათბირმა აუცილებლად სცნო ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოების გამოყენება. გაზეთებში ანტირელიგიურ პროპაგანდას დაეთმობა სპეციალური ფურცლები, სადაც გაშუქებული იქნება პროპაგანდასთან დაკავშირებული საკითხები.

ქრონიკა

1.780.000 მანეთის საქონლის გატანა

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, იანვრის განმავლობაში ამიერ-კავკასიიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 1.780.000 მანეთის სხვადასხვა საქონელი. ზემოთმოყვანილ თანხაში არ შედის გატანილი ნავთის პროდუქტებისა და მარგანეცის ღირებულება.

იანვრის განმავლობაში საზღვარგარეთის ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ჩვენებურ თამბაქოზე, სატყეო მასალაზე და ხილზე. ამავე თვის განმავლობაში მარტო ამიერ-კავკასიის ვაჭრ. კომისარიატს გაუტანია 1.030.000 მანეთის საქონელი.

თათბირი შრომის კონფლიქტების შესახებ

13 თებერვალს მუშათა სასახლეში საქართველოს პროფსაბჭო იწვევს თათბირს შრომის კონფლიქტების შესახებ. საკითხის განხილვა მოხდება ამხ. ლარინის წინადადების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „პრავდა"-სა და „ტრუდ"-ში.

საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა თათბირის წევრებს—კავშირის ცენტრ. გამგეობის, ადგილკომების, ფაბქარხკომების და სხ. წარმომადგენლებს, რათა საკითხს გაეცნონ ზემოხსენებული წერილის მასალების მიხედვით.

განათლების განყოფილებების გამგეთა კონფერენცია

განათლების კომისარიატი 22 თებერვალს თბილისში იწვევს სამაზრო განათლების განყოფილებების გამგეთა მე-6 კონფერენციას.

კონფერენცია განიხილავს განათლების კომისარიატის, ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო განათლების განყოფილებების მუშაობის 5 წლიან პერსპექტიულ გეგმას და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების პროექტს.

განათლების კომისარიატმა სამაზრო განათლების განყოფილებებს და ავტ. რესპ. განსახკომებს დაუგზავნა კითხვების ფორმები დასამუშავებლად და საჭირო მასალების შესადგენად კონფერენციისათვის.

ნატანების ბიტუმის გამოცდა

სამთო მრეწველობის ტრესტი შეუდგა ნატანების ბიტუმის დამზადებას პრიმიტიული წესით. დამზადებული ბიტუმი 1000 ფუთის რაოდენობით გადაეცემა თბილისის აღმასკომს და გზატკეცილების სამმართველოს სათანადო ცდების მოსახდენათ.

ამასთანავე 100 კილოგრამი ბიტუმი გაგზავნილია ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს ლაბორატორიაში (ლენინგრადში) შესაფერი ცდების ჩასატარებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **პლეხანოვის პროსპექტის** კუბიკურ ქვებით მოსაკირწყლავად და საბოლოოდ შესაკეთებლად გადაიდო 40 ათასი მანეთი.

◆ **საგზაო მშენებლობა.** თბილისის მაზრაში საგზაო მშენებლობის საქმეზე თბ. აღმასკომი წელს დახარჯავს 92.000 მანეთს.

◆ **განათლების დაწესებულებებისათვის.** ახალი შენობების ასაგებად და არსებულ შენობების საფუძვლიანად შესაკეთებლად განათლების განყოფილებას გადაეცა 165 ათასი მანეთი.

◆ **უმუშევართა სასადილოს დახმარების** სახით გადაეცა 18.000 მანეთი.

მიწსახკომში

◆ **აგრო-თათბირი.** 12 თებერვალს ახალციხეში გაიხსნება ახალციხის მაზრის აგრონომთა თათბირი.

◆ **მეფრინველეობის სადგური.** აფხაზეთში გაიხსნა ჯიშიან შინაურ ფრინველების მოსაშენებელი სადგური.

სხვადასხვა

◆ **„მასწავლებლის თანამგზავრი".** გამოვიდა განსახკომის სოციალურ-აღზრდის მთავარმმართველობის მიერ შედგენილი წიგნი: „მასწავლებლის თანამგზავრი" მარიამ ორახელაშვილის წინასიტყვაობით.

◆ **შოფერების კურსები.** ავტოკლუბთან 20 თებერვლიდან ქართულ ენაზე გაიხსნება ავტო-კურსები. პირობების გაგება შეიძლება ავტო-კურსების კანცელარიაში პლეხ. პრ. № 129, ყოველდღე საღამოს 6—8 საათამდე.

◆ **ქართულ ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა). დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება მორიგი მუშაობა ლიტერატურის მცოდნეობის მარქსისტულ სემინარში. ამხ. ვადაჭკორია წაიკითხავს მოხსენებას: „ფორმა და იდეა მხატვრულ ნაწარმოებში".

ჩაუბარებელი დეპეშები

მოსკოვიდან—საშვილს, ლენინგრადიდან—ტუბუკინს, ონიდან—მაჩაიძეს, სარატოვიდან—სენოვსკის, ბათომიდან—ხუსეინ ალი ბეის, წესიდან—ციფიანს, ქრებალოდან—ვახტანგოვს, სტალინგრადიდან—ბაურს, ლენინგრადიდან—პრავლუნ ეღორს, მოსკოვიდან—პულუტურნს, სიღნაღიდან—ისკანოვს, თბილისიდან—ზურაბოვს.

შემთხვევები

დაჭრა

გუშინ, დღისით ალექსი გრიგოლის ძე ნოდიამ (მცხ. კანანარის ქ. № 2) თავში კეტის დარტყმით მძიმედ დაჭრა აბრამ იაკობის ძე ფიჩხაძე.

ნოდია დააპატიმრეს.

1510 მანეთის მოპარვა

გუშინწინ, ღამით ალექსი ასკურავას ვიღაც ბოროტმოქმედმა რკინისგზის ფოსტაში ყოფნისას პორტფელიდან ამოაცალა 1510 მანეთი და მიიმალა.

7 კაცის დაკარგვა

1-დან 8 თებერვლამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: მარიამ ალექსანდრეს ასული ჩერნიშოვა, 19 წლისა (გუთნის შესახ. № 5); პაველ ლაპტიევი, 12 წლისა; ლეონტი ვლადიმერის ძე მოლოდინი, 30 წლისა (მცხ. სოფ. მცხეთაში); ნინო მიხეილის ასული კუტეპოვა, 19 წლისა (მცხ. კახუბეევის შესახ. № 11) და ანა ტუხას ასული ხარაზიშვილი.

სახელოსნოს გაქურდვა

გუშინწინ, ღამით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ავაკ ხაჩატუროვის ფეხსაცმლების სახელოსნო (მახარაძის ქ. № 15). წაიღეს 70 მანეთის საქონელი.

ქურდობა

გუშინ, დღისით ონიდან ჩამოსულ გლეხ მოსე ქოსაშვილს მაღაზიაში ვიღაც ბოროტმოქმედმა მოპარა ერთი შეკვრა ტყავი.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

საპარიკმახეროს გაქურდვა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს საპარიკმახერო (თეატრის შესახ. № 1). წაიღეს 120 მანეთის ხელსაწყოები.

ხელოვნება

შუბერტის სახელობის კონკურსი

შუბერტის გარდაცვალებიდან 100 წლის თავის შესრულების გამო ეწყობა შუბერტის სახელობის საერთაშორისო კონკურსი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ეროვნებათა კომპოზიტორები.

კონკურსში წარსადგენი ნაწარმოებები შესრულებული უნდა იყოს შუბერტის თემების მიხედვით.

შუბერტის სახელობის ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებით, ყველა ნაწარმოებნი წარდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს ა.-წ. 30 აპრილისა ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიაში—ა. კ. გლაზუნოვის სახელზე.

მთავარი პრემიის (20.000 მანეთი) მისაჯისათვის საკონკურსო ჟიური შეიკრიბება ვენაში 1928 წლის ივნისში.

კონკურსში წარდგენილ ნაწარმოებთა შეფასება მოხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეფერება ესა თუ ის სიმფონიური ნაწარმოები შუბერტის ხსოვნის აღსანიშნავ დღესასწაულს და აგრეთვე თუ რამდენად დაცულია მასში პრინციპი „უკან მელოდიისაკენ“.

მ. კავსაძის მომღერალთა გუნდის კონცერტები

მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი ახლო ხანში გამართავს მთელ რიგ სახალხო კონცერტებს. პირველი კონცერტი გაიმართება, კვირას, 12 თებერვალს რუსთაველის თეატრში, მეორე—სამშაბათს, 21 თებერვალს პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში).

გუნდი შესდგება 40 ძველ და ახალგაზრდა მომღერალისაგან; კონცერტებზე შესრულებულ იქნება საქართველოს ყველა კუთხის მუშურ-გლეხური სიმღერები ფანდურა-ფერხულ ცეკვა-თამაშით. კონცერტის წინ მუსიკოსი ია კარგარეთელი წაიკითხავს ლექციას მუსიკის შესახებ.

— **თეატრალურ მუზეუმმა** შეიძინა გიორგა ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი საინტერესო მასალები.

— **„სილვა“.** დღეს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „სილვა“ დ. დავიდოვ-მგალობლიშვილის მონაწილეობით.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** დღეს გაიმართება აკ. წერეთლის მოსაგონარი საღამო.

— **ცეკვის დილა.** რუსთაველის თეატრში ამ დღეებში გაიმართება ეთერიანის ცეკვისა და პლასტიკის სტუდიის დილა.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

— **სანიტგანათლების წარმოდგენა.** თბ. ოლქ. მასკომის სანიტსექციის თაოსნობით ხარფუხის მუშათა თეატრში დღეს გაიმართება სანიტგანათლების წარმოდგენა.

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

— **„ვინც ყველაზე სულელია“.** 11 თებერვალს მუშათა თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება „ვინც ყველაზე სულელია“.

— **„იღრიალე ჩინეთო“.** 11 თებერვალს მუშათა ახალ კლუბში წარმოდგენილი იქნება „იღრიალე ჩინეთო“.

— **გრ. რობაქიძის მოხსენება.** კვირას, 12 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ლუდვიგ კლაგეს“ (თანამედროვე გერმანელი მოაზროვნე). დასაწყისი საღამოს 8 ს. შესვლა უფასოა.

◆ **მასკარადი.** შაბათს, 11 თებერვალს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ნიღაბოსანთა საღამო.

◆ **სახელმწიფო კონსერვატორიაში** 20 თებერვალს გაიმართება თეორიულ ფაკულტეტის მოწაფეთა საღამო.

სასამართლო

ი. ნაბიჭვრიშვილის საქმე

ილიკო სიმონის ძე ნაბიჭვრიშვილი წარმოსადეგი ვაჟკაცია. მისი ბიოგრაფიის „საუკეთესო“ მომენტები აღნუსხულია სამორიგეო კამერის განაჩენში.

სამჯერ ქურდობისათვის იჯდა ციხეში, ხოლო ერთჯერ — მკვლელობისათვის.

თავისუფლებას ერთობ გაურბის ნაბიჭვრიშვილი. ამბობენ, ვერ იტანს სუფთა ჰაერსო.

ნაბიჭვრიშვილი შემთხვევით გამოვიდა პლეხანოვის პროსპექტზე, ჩვეულებისამებრ მთვრალი. უნდა გენახათ, როგორი ბრაზით აღივსო იგი, როცა დაინახა, რომ ყველანი სწორად მიაბიჯებდნენ პროსპექტზე, ხოლო ის კი გარეტიანებულივით ბარბაცებს.

დაუწყო გინება გამვლელ-გამომვლელებს.

— დაწყნარდით, რა გაღრიალებთ,—მიმართავს ნაბიჭვრიშვილს შემთხვევით გამვლელი უფროსი მილიციელი.

ამის გაგონება და მილიციელისათვის სილის გაწნევა ერთი იყო.

როცა მილიციელს მიეშველენ, ნაბიჭვრიშვილმა იძრო ბებუთი და გაექანა მოქალაქეებისაკენ. მაგრამ, როდესაც რევოლვერის ლულას მოჰკრა თვალი, ნაბიჭვრიშვილს გაუფუჭდა ვაჟკაცობა, ბებუთი დაუშვა ძირს და თავისი ხელით მოწიწებით მიართვა მილიციელს.

ნაბიჭვრიშვილი დააპატიმრეს და გადაუგზავნეს სასამართლოს.

სასამართლომ ერთი წლით გაგზავნა ნაბიჭვრიშვილი გამასწორებელ სახლში.

ყალბი საბუთების შედგენისათვის

თბილისის სამაზრო სასამართლომ გაარჩია მოქ. ზაქარია მეგრელიშვილის საქმე. მეგრელიშვილს ბრალად ედებოდა „მმს“-ის დიდუბე-ნაძალადევის სექციის გამგეთ ყოფნის დროს 84 მანეთის გაფლანგვა ყალბი საბუთების გაკეთების გზით.

სასამართლომ ბრალდება დაუმტკიცებლად სცნო და ბრალდებული გაამართლა.

წყლის ფული შეჭამა

— ფული გადავიხადეთ, წყალი კი კიდევ არ გვაღირსეს! რაშია საქმე... წადით, გაიგეთ ვინმემ...

— ჩვენი ამაიაკი წავა და გაგვიგებს.

— მე ვფიქრობ, რომ ხვალ უსათუოდ მოგვცემენ წყალს. ჩემი წასვლა საჭირო არ არის, ლაპარაკობს მეეზოვე მხითარიანი.

გავიდა ერთი დღე. გავიდა მეორე. გავიდა კვირა. სად არის წყალი!

მეეზოვე დიდის დინჯათ და აბოლებს ყალიონს.

— ხვალ უსათუოდ იქნება, მე ვიყავი და დამპირდნენ, — უპასუხებს მდგმურებს მეეზოვე.

როცა არაფერი საშველი დაადგა, მდგმურებმა ალმასკომში დელეგაცია გაგზავნეს.

— ჩვენ ფული არ მოგვიღია,—უპასუხეს დელეგაციას.

თურმე მეეზოვე მხითარიანს მდგმურებს აკრეფილი 22 მანეთი შეუჭამია.

— რატომ გაფლანგეთ ფული?—ეკითხებიან სასამართლოში მხითარიანს.

— სახლის პატრონს ემართა ჩემი ჯამაგირი და არ მაღირსა. ერთხელ ჩამივარდა ხელში ფული და იმას გაუშვებდი ხელიდან?

— კი, მაგრამ ეს ხომ სახლისპატრონის ფული არ იყო!

— მე რა ვიცი, ვისი იყო. ეხლა მოსთხოვეთ სახლის პატრონს...

სასამართლომ მხითარიანს მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუცვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა ერთი წელი. მხითარიანმა უნდა აუნაზღაუროს მდგმურებს წყლის ფული.

გერ.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით გუშინ ამ.-კავკასიაში ასეთი ამინდი იყო:

ხოხუმში ტემპერატურა უდრიდა 0 გრადუსს და სუსტად თოვდა.

ბათომშიც ასეთივე ამინდი იდგა.

ფოთში ტემპერატურა უდრიდა 3 გრადუსს ნულს ქვევით და თოვდა.

ოზურგეთში ყინვა ორ გრადუსს უდრიდა და თოვდა.

ბორჯომში 20 გრადუსი ყინვა იდგა. დილით მოწმენდილი იყო.

აბასთუმანი ყინვამ 21 გრადუსს მიაღწია. თოვდა.

გორში ყინვა დილით 22 გრადუსამდე დავიდა. ღამით 8—9 თებერვალს იგი 26 გრადუსს აღწევდა. დილით ცა მოწმენდილი იყო.

მუხრანშიც ასეთივე დარი იდგა, როგორც გორში.

თბილისში დილით ყინვა 11 გრადუსს უდრიდა. ღამით 8—9 თებერვალს კი 13 გრადუსს. დილით ცა ღრუბლებმა დაფარა. ნაშუადღევს ამოვარდა მსუსხავი ქარი.

საგარეჯოში ყინვა 5 გრადუსს უდრიდა.

მუკუზანში—9 გრადუსს. ორთავე ადგილას ცა მოწმენდილი იყო.

ლენინაკანში ღამით 8—9 თებერვალს ყინვა 37 გრადუსს უდრიდა, გუშინ დილას—35 გრადუსს.

ერივანში ღამით—26 გრადუსი ყინვა იყო, გუშინ დილას კი 24 გრადუსამდე დავიდა.

ბაქოში—ერთი გრადუსი ყინვა იყო.

როგორც შავ, ისე კასპიის ზღვებზე სიწყნარეა.

დეპეშათა სააგენტოს ცნობები

თელავი, 8 თებერვალი. თოვის დროს ცოტა ათბა, მაგრამ მალე ისევ ყინვები დაიწყო. საღამოობით ყინვა ნულს ქვემოთ 15 გრადუსამდე აღწევს. მდინარეები გაიყინა, რამაც გამოიწვია წისქვილების გაჩერება. (ადს).

ოზურგეთი, 8 თებერვალი. მთელ გურიაში დიდი თოვლი დევს. ოზურგეთის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში თოვლის სიღრმე ერთ არშინამდე აღწევს. ღამ-ღამობით ყინვა 5 გრადუსამდეა.

ხონი, 8 თებერვალი. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ თოვლი მოვიდა. თოვა გრძელდება. (ადს).

ყაზახი, 8 თებერვალი. მზიანი ამინდების შემდეგ თოვლი მოვიდა. თოვლის სიღრმე ნახევარ არშინს აღწევს. (ადს).

ბიბლიოგრაფია

ვ. ხუროძე.—„ქართული ლიტერატურის თემატიური განხილვა“

თავდაპირველად ორიოდე სიტყვა იმ მეთოდის შესახებ, რომლითაც იხილავს ავტორი ქართულ მწერლობას. ის მე-19 საუკუნის ლიტერატურას 5 ჯგუფად, ხუთ ხანად ყოფს ლიტერალურულ ნაწარმოებთა თემების მიხედვით. ასეთია: ეროვნული საკითხი, ბატონყმობა, ბურჟუაზიული ურთიერთობა, წოდებათა დაქსაქსვა და მშრომელ გლეხების საკითხი, მუშათა მოძრაობა და ზოგადი საკითხები.

თავისთავად ასეთი მეთოდის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ავტორი ამით ვერ აღწევს სათანადო შედეგს. ზოგჯერ ერთი და იგივე მწერალი რამდენიმე მიმართულების მომხრეთ გამოყავს. ეს ითქმის განსაკუთრებით ილია, აკაკის და სხვები შესახებ. ზოგან ილია რესპუბლიკანელია (იხ. გვერ 36), ლიბერალია და ზოგან კონსერვატორი. ამგვარად ილიას შესახებ ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრები გვხვდება და მოწაფეს არ შეუძლია ერთი, გარკვეული შეხედულება გამოიმუშაოს ამ მწერალზე.

ეროვნულ საკითხის განყოფილებაში ბატონყმურ საქართველოსათვის მებრძოლ მგოსნებს ის რაღაც რევოლიუციონერებათ და მთელი საქართველოსათვის თავდადებულ მებრძოლებათ სთვლის.

ხსენებულ მწერალთა უმრავლესობა იბრძოდა არა საქართველოს განთავისუფლებლად, არამედ, რუსთა მართველობით დაკარგულ თავის ვიწრო პრივილეგიურ უფლებების აღდგენისათვის.

მართალია, ამ რკალში მოქცეული პოეტები ეროვნულ საკითხზე გოდებდენ, მაგრამ მარქსისტ მკვლევარს მოეთხოვება ამ გოდების სოციალური საფუძველი დაგვიხატოს. ამის გარეშე მისი კრიტიკული განხილვა არაფრით არ განსხვავდება კიტა აბაშიძის „ეტიუდებისაგან“ ან კოტეტიშვილის ლიტერატურის ისტორიიდან.

ავტორი ჩვენი ლიტერატურის ხანებათ დაყოფვას კურიოზულ ხასიათს აძლევს. მუშათა მოძრაობის რკალში მოქცეული ყავს ბევრი ისეთი მწერალი, რომელთაც მუშათა მოძრაობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაგალითად დ. მეგრელი, შ. არაგვისპირელი, ია ეკალაძე, ბარნოვი, შალვა დადიანი, კ. მაყაშვილი და სხვები.

ავტორი ეკამათება იმათ ვინც ლაპარაკობს, რომ ალექ. ჭავჭავაძე ქეიფისა და თავ შეუკავებელ გრძნობის პოეტი იყოო. ავტორის თქმით პოეტს ასეთი საქციელი საქვეყნო უბედურების გამო და სევდიანობით მოსდიოდაო, ამგვარად ჩვენი ავტორი ალ. ჭავჭავაძის გარჩევა-დაფასებაში აბაშიძე - კოტეტიშვილებზე უფრო შორს მიდის. ამის შემდეგ ჩვენთვის გასაკვირველია რისთვის აკრძალეს კოტეტიშვილის ქართული ლიტერატურის ისტორია როგორც დამხმარე წიგნი და რისთვის გაუკეთეს ამ წიგნს ასეთი რეკლამა.

სახალხო განათლების კომისარიატის პედაგოგიურ სექციის მეთოდორგანოს მიერ მიღებულია როგორც დამხარე წიგნი შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის.

ვერ გავიგეთ თემატიური განხილვაში რას გულისხმობს ავტორი. მწერლის გაშაბლონებულ ბიოგრაფიას, მის ნაწარმოებთა სახელების ჩამოთვლას თუ ნაწარმოებთა თემატიურად შეფასებას.

გულდასმით გადვიკითხეთ ალ. ჭავჭავაძის თავი და ვერ გავიგეთ ვინ არის, რა მწერალია ალ. ჭავჭავძე, როგორია მისი საქართველო, რის დაკარგვას დასტირის და სხვა.

კიდევ უფრო კარიკატურულად აქვს დახასიათებული ავტორს გრიგოლ ორბელიანი. ვინ არ იცის, რომ გრიგოლ ორბელიანი ყოველივე ახალის მტერი იყო. იცის ავტორმაც, რომ ის ძველი ტრადიციების დამცველი იყო. მან ილია ჭავჭავაძეს ენის გახალხოსნებისა და სხვათა უმნიშვნელო სიახლისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ მას მაინც ასეთი რეკლამას უკეთებს

„მისი გულის სიღრმე უკურნებლად იყო დაავადებული საქართველოს უბედურებით“. ანდა

„დაქანცული სამშობლოს სახე გულის გამგმირავის ეჭვების ჰანგზე აუღერებდა მის ქნარს“.

განა შეიძლება მარქსისტ კრიტიკოსის მიერ გრიგოლ ორბელიანის ასეთი დახასიათება“? რა უნდა გაიგოს მოწაფემ ამ შეფასებისაგან.

გადავფურცლოთ შემდეგი გვერდები. ავტორი იხილავს ნ. ბარათაშვილს.

მოყავს ბედი ქართლიდან ერთი ადგილი და ასეთ განმარტებას აძლევს.

„ამ გმირებმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას შესწირეს თავი. ამ იდეას კი ბარათაშვილი „ცხოვლად სულზე დარჩენილად“ სთვლის და საშვილიშვილოდ აღიარებს. რატომ? იმიტომ რომ უცხოეთში არ შეიძლება იხეიროს სუმბულმა, მის თავისუფლად გადასაფურჩქნავად აუცილებლივ საჭიროა მშობლიური მიწა-წყალი“.

ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაციონალიზმის გამართლებაა „მარქსისტ“ კრიტიკოსის მიერ. გ. ორბელიანის ერთი ლექსის შესახებ ამბობს,

„საქართველოს ქრისტიანულ სარწმუნოებისათვის იბრძოდა, მას ამოძრავებდა უდიდესი საკაცობრიო იდეია. ამიტომ ის უნდა გადარჩენილიყო...

ასე მსჯელობს პოეტი. ასეთია **სამართლიანობის გრძნობით ალსავსე შეგრძნობა**

ზოგიერთ მწერლებს ისე, აფასებს ავტორი, რომ შეუძლებელია გაგება, ის ბიოგრაფიაა, ნეკროლოგიაა, ნაწარმოებთა სახელწოდებაა ჩამოთვლაა თუ ლიტერატურული კრიტიკაა. მაგალითად ავიღოთ **ნარკანი.**

„ნიკოლოზ კურდღელაშვილი დაიბადა 1878 წ. ნარკანიც მწერალთა ახალ რაზმს ეკუთვნის. იგი მთელი თავისი არსებით მუშათა დამცველია და მისი მოთხრობის ყოველი სურათი ახალი სახეების გადმოცემითაა დატვირთული. სამწუხაროდ ამ მწერლის ნაწერები ყოველდღიურ გაზეთებშია გაბნეული და მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მას“.

განა ამ დახასიათებით შეიძლება გავიგოთ, თუ ვინ არის ნარკანი, როგორი მწერალია, და ან რა დაუწერია? რაში გამოიხატება ნარკანის მიერ მუშათა დამცველობა, რომელ ნაწარმოებში აქვს ეს აზრები გატარებული, ყოველივე ამისათვის ავტორს თავი არ შეუწუხებია.

ასევე აქვს დახასიათებული შ. დადიანი, მიხ. ჯავახიშვილი (აქ მკითხველებს „მნათობში“ მოთავსებულ თავის წერილზე უთითებს).

ავტორს დაჩრდილული ყავს ანტონ ფურცელაძე ჩვენს მწერლობაში.

ზოგჯერ ავტორს დავიწყებია, რომ ის სწერს ქართულ ლიტერატურის თემატიკურად განხილვას. სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთი მწერლის საეჭვო შეფასება. ირეთელის „დამარცხებულის“ შესაფასებლად აღნიშნავს, რომ ეს პიესა კარგა ხნის განმავლობაში არ მოსცილებია ჩვენი დემოკრატიულ სცენებსო.

მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნაში არ შეგვიძლია უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ჩვენი მიზანია მიუთითოთ მკითხველთ ვ. ხუროძის მიერ სკოლებისათვის შედგენილი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს უარყოფით მხარეებზე, მოვითხოვთ მის ხელახლად გადამუშავებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიგვაჩნია ის სკოლებისათვის მისაღებ დამხმარე წიგნათ.

პედაგოგი.

რკინისგზებზე

პურის გადაზიდვა შუა აზიაში ა.-კ. რკ. გზით

პეტროვსკის ნავთსადგურის (კასპიის ზღვაზე) ბუღაზის გაყინვის გამო, გემების მიმოსვლა პეტროვსკსა და კრასნოვოდსკის შორის შეწყვეტილია.

ამის გამო გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას დაუყოვნებლივ შეუდგეს შუა აზიაში გაგზავნილ პურის ა.-კ. რკ. გზით (ბაქოზე) გადაზიდვას.

გზა უკვე შეუდგა ამ დავალების შესრულებას. ყოველდღიურად შუა აზიაში იგზავნება 50 ვაგონი პური.

დაზიანებულ ადგილების აღსადგენად

მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალისათვის გზათა კომისარიატმა ა.-კ. რკ. გზას გადასცა ხარჯთაღრიცხვის გარეშე— 300.000 მანეთი.

ეს თანხები გამოყენებული იქნება ბათომის უბანზე წყალდიდობისაგან დაზიანებულ ადგილების და ხელოვნურ ნაშენობათა აღსადგენად.

მოსალოდნელია ამ თანხის კიდევ უფრო გადიდება, რადგან საკითხი ამ ადგილების აღდგენის შესახებ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი უმაღლეს ორგანოებში.

დაჯახება

გუშინ ხაშურიდან მომავალი ორთქლმავალი სადგ. გომში შევიდა დაკეტილ სემაფორის ქვეშ. ამ დროს სადგურზე მანევრებს აკეთებდა მეორე ორთქლმავალი. მოხდა დაჯახება. ორივე ორთქლმავალი დაზიანდა. ადამიანთა მარცხი არ ყოფილა.

მზადება თესვის კამპანიისათვის

თესვის კამპანიის მოახლოების გამო გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა რკინის გზების გამგეობებს, თესლების გადაზიდვა და გადატვირთვა აწარმოონ რიგს გარეშე.

მოტორიანი დრეზინები

საბჭოთა კავშირის რკინის გზების უმეტესობა და მათ შორის ა.-კ. რკ. გზაც მოტორიანი დრეზინების დიდ საჭიროებას განიცდიან. მათი შემოზიდვა უცხოეთიდან გაძნელებულია.

აქამდე მოთხოვნილება დრეზინებზე კმაყოფილდებოდა იმით, რომ დრეზინებზე დგამდენ ავტომობილის მოტორებს. ეხლა გზათა კომისარიატის დავალებით სამეცნიერო - ავტომოტორული ინსტიტუტი იმუშავებს მსუბუქ მოტო - დრეზინის ტიპს. პარალელურად მუშავდება სამუშაო ავტოდრეზინის ტიპიც.

ასეთი ავტოდრეზინების დამზადება და გზებისათვის დაგზავნა გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს წელსვე. მომავალ წლიდან გზების მომარაგება ავტოდრეზინებით იწარმოებს რეგულიარულად.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი

ბერლინი, 8 თებერვალი. დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ბოგოლიუბოვი, **რეტი, ნიმცოვიჩი, ზემიში, ტარაკოვერი,** და სხვ. პირველი ადგილების კანდიდატებათ მოჭადრაკეთა წრეებში სთვლიან ბოგოლიუბოვს, ტარტაკოვერს, რეტის და ნიმცოვიჩს. (ადს).

ტურნირი პლეხანოვის სახ. კლუბში

პლეხანოვის სახელობის კლუბში არსებულ საჭადრაკო წრეში შესდგა ტურნირის მეოთხე ტური, რომლის შედეგები ასეთია:

ჯიგურიძემ მოუგო დივიცინს, სკოკოვმა კაზიშვილს, კილასონიამ ერაშენკოს, სერგენკომ პოლოსოვს, კობახიძემ ზაიცევს, გრატიაშვილმა თადიშვილს, მალიკოვმა მახათაძეს, ზებურიშვილმა დოქსოპულოს, ბელაგონევმა ვ. ხიდირშელს, ულიბეკოვმა ასლანიშვილს, ბახტაძემ პეტრიაშვილს.

ნ. ტატიშვილის პარტია კაცაევთან უშედეგოთ დამთავრდა.

ავიაქიმში

თავდაცვა-ავიაქიმის ყრილობა

მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნება თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა.

უჯრედების გამოკვლევა

ამჟამად მიმდინარეობს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედების მუშაობის გამოკვლევა. გამოკვლევას აწარმოებს თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო. დღევანდლამდის გამოკვლეულია 13 წარმოება-დაწესებულების უჯრედი.

პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა შესდგება თებერვლის 15.

იარაღი და ხელსაწყოები

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს მიერ მიღებულია ზომები საზოგადოების უჯრედების და სამხედრო კუთხების უზრუნველსაყოფად სასროლო იარაღით, ვაზნებით და ხელსაწყოებით. [illegible] დაეგზავნება რუსული და უცხოეთის სისტემის თოფები. თოფების პირველი პარტია დაგზავნილ იქნება [illegible] ცხვებში.

ნარევი

მამაკაცი სოპრანოს ხმით

ექიმების გადასამზადებელი ინსტიტუტის (ლენინგრადში) სამეცნიერო სხდომაზე, რომელსაც დაესწრო ორასამდე ექიმი, ნაჩვენები იქნა იშვიათი შემთხვევა — მამაკაცი, ვინმე ვ. კ—ლი, რომელსაც აღმოაჩნდა ლირიული სოპრანო. ვ. კ—ლი გამოცხადდა ინსტიტუტის ფონოტერაპევტიულ კაბინეტში ხმის ექსპერტიზისათვის. აქ მისი ხმა გამოსცადა პროფ. მ. ს. ებერშტეინმა და შემდეგ კიდევ რვა სხვა პროფესორმა. მას აღმოაჩნდა მშვენიერი ლირიული სოპრანო სრული დიაპაზონისა („დო“ პირველიდან მესამე ოქტავის „დო“-მდე). განსაკუთრებით მშვენივრად იღებს ვ. კ—ლი ზედა ნოტებს. პირვანდელი მოსაზრება — ხომ არ აქვს ამ შემთხვევაში ადგილი ბავშური ხმის ჯერ დაუსრულებელ ცვლას ან სიმღერას ფალცეტით, — გამოკვლევის შემდეგ არ გამართლდა. ვ. კ—ლიმ სხდომაზე როიალის აკომპანიმენტით შეასრულა ვარლამოვის რამდენიმე რომანსი, დაწერილი სპეციალურად სოპრანოსათვის.

იმის შემდეგ, როცა ვ. კ—ლი გასინჯეს სხვადასხვა სპეციალობის ექიმებმა, აღმოჩნდა, რომ მას აქვს როგორც ქალის, ისე მამაკაცის ნიშნები. როგორც სჩანს, ასეთი შეთავსება ორივე სქესის ნიშნებისა, ე. წ. შინაგანი სეკრეციის დარღვევის შედეგი არის.

ალმასის ხერხი

შეერთებულ შტატებში საამშენებლო ქვის დასახერხათ უკანასკნელ ხანებში შემოიღეს ალმასის ხერხი. ასეთი ხერხი წარმოადგენს ფოლადის რგოლს, რომელსაც კიდეებში ჩასმული აქვს ალმასის კბილები. ხერხი აკეთებს 400 მობრუნებას წუთში და სჭრის ისეთ მაგარ ქვებს, როგორიც არის გრანიტი და რიყის ქვა. ალმასის ხერხი სჭრის ერთი მეტრის სისქე ქვებს. მუშაობის დროს ხერხს აცივებენ წყალის დასხმით.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 10 თებერვალი

დღეს, 10 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

წითელი არმიის ეროვნულ ნაწილების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში—თურქულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

გლეხთა ახალგაზრდობა და რელიგია—რუსულ ენაზე.

როგორი უნდა იყოს ადამიანის ბინა და ტანთ საცმელი—თურქულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 10 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ერვანდ კირიშევი, ანდრია სოლოშვილი, ოლღა კვიკვიძე, ლევან კოდანოვი და ნინო აკოფაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: გაბრიელ ჩიკვაიძე, არსენ გრიგორიანი, ივანე ბერიევი და ანტონინა საველიჩინსკაია.

ამჟამად იწყება მშენებლობის სეზონი, ამიტომ საქციო საზოგადოება „სამშენმა“ სთხოვა შრომის ბირჟას, რათა გადარიცხოს მის განკარგულებაში ყველა ამჟამად აღრიცხვაზე მყოფი კვალიფიციური მუშები: მშენებლები, კალატოზები, და სხვა.

დაქირავება ინდივიდუალურ სახისაა—საერთო საფუძვლებზე. გაგზავნილი უმუშევრები უნდა გამოცხადდენ თავისუფლების მოედანზე № 3, საქციო საზოგადოება „სამშენ“-ში.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. მუშა-გლეხ. ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ საოლქო, სამაზრო და თბილისის ორგანიზაციის მ.-გ. ქალთა განყოფილების გამგეთა თათბირი შესდგება 15 თებრვალს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში (ოთახი № 42)

შაბათს, 11 თებერვალს, აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეტის შენობაში შესდგება შემდეგ პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა:

საღამოს 6 საათზე პარტქსელის პირველ საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების, საღამოს 7 საათზე პარტქსელის მეორე საფეხურის, საღამოს 8 საათზე ოქტომბრის გაწვეულთა პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა მეცადინეობა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. აკაკი კობახიძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან (ოთახი № 43).

საქ. უნივერს. აგრონომიული ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს 10 თებერვალს, დღის 12 საათზე მოწვეულია პარტკოლექტივისა და ახ. ლ. კ. კ. ბიუროების გაერთიანებული სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

სამუდამოთ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი: ივლიტა ერემიას ასული, ექიმები: გრიგოლ და ქეთო, დავითი, ნინო, ბესიკი და მათი აღმზრდელი (ძიძა) მარინა ხარატი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს მათი დაუფასებელი და უსაყვარლესი ოჯახის იმედის პირველის ქმრის და დანარჩენების მამის მღვდელ

მიხეილ ბესარიონის-ძე ზნიკვაძის

გარდაცვალებას, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში, ოთხშაბათს 8 თებერვალს, დღის 3 ნახ. საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება კვირას, 12 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ (1 საათზე). დასაფლავება მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. 1388 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ვასილ ბ-ძე რუხაძე, შვილები: ოლღა, შალვა, ქენია, ალექსანდრე, ნინა და ნიკოლოზ შვილიშვილი თამრიკოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 12 თებერვალს სრულდება ორმოცი დღე, უდროოდ დაკარგულ დედიკოს

გაიანე მიხეილის ასული რუხაძისა

დღიდან გარდაცვალებისა

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, კვირას 12 თებერვალს, შუადღის 12 საათ. 1374

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სოფიო ივანეს ასული, ცოლისდა მარიამი, შვილები მარგალიტა, ეკატერინე, ანიკო, ვლადიმერი და სერგო, რძალი ეკატერინე ვლადიმირის ასული, სიძეები სულიკო ლოლაძე, პავლე რუსაძე, შალვა ბოსიკაშვილი, პატარა შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს, რომ 7 თებერვალს, საღამოს 6 საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ვარდენი ოქროპირის-ძე ნანეიშვილი

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 11 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე ქ. გორში. მისამართი: ლიუქსემბურგის ქ. № 3. 1379

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: პელაგია (პელაშა) და ივანე (ვანო), ბებია დარიკო და ძმისწული ნუცა შენგელიები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

პატარა ფენია (ციალა) შენგელია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე. ლენინის ქ. № 3. ბინა 15. დაკრძალვა შაბათს, 11 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1381

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა ოლღა დიმიტრის ასული ჭავჭანიძისა, ძმები: ალექსანდრე და გიორგი, დები: სონია წივწივაძისა და ბაბუცა, სიძეები: კოლა აბზიანიძე და ალექსანდრე წივწივაძე შვილებითურთ ჟორა, ოთარი და თამარათი, ძმისშვილები: კუკური და გულჩორა, მამიდა კატო ლორთქიფანიძისა და რძალი ვერა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ კვირას, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ხონის ყოფილი მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგული ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

გრიგოლ (ჭიჭიკო) იასონის-ძე ჭავჭანიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების აღსანიშნავად. ნ. 398

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები იპოლიტე, პოლიკარტე, გრიგოლ, დარიკო, მიტრადორა, მინადორა და მარო გიორგის ძენი გრიგორაშვილები თავიანთი ცოლშვილით და ქმარშვილით და რძალი პელაგია ალექსის ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 9 თებერვალს, ქ. თბილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

ქრისტინე ალექსის ასული გრიგორაშვილისა

რომლის გამოსვენება მთავარი (ყ. მიხეილის) საავადმყოფოდან თბილისის სადგურზე დანიშნულია 10 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, კვირას, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე. 1392

სამუდამოდ გულდათუთქული გამოუვალ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე შარინოზი მანუჩარის ასული, შვილებით: სერაფიმა, ნინა, ვანიჩკა, სოსიკო, ალექსანდრე, ლიდა, სონია და რძალი ოლია სიმონის ასული აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა. წ. 8 თებერვალს, ქალ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

თეოფანე ივანეს-ძე ნადირაძე

დაკრძალვა მოხდება, კვირას, ა. წ. 12 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, გამოსვენება ივანოვ-მარდალეიშვილის ქ. № 9. 1391 2—1



მოითხოვეთ ახალი წიგნები

ფარეიშვილი—ცხენის ქედვა. ფასი 1 მ.
საველიევი—ჩინეთის გლეხები. გვ. 76, ფასი 30 კ.
ლატინინი — რა არის ჯამუშობა. გვ. 25 ფასი 15 კაპ.
რაფესი—ჩინეთის რევოლიუცია და ჩან-კაიშის ღალატი. გვ. 132, ფასი 50 კ.
მარეცკი—მომავალი ომი და საერთაშორისო ბოლშევიზმი. გვ. 34, ფ. 20 კ.
მიკულინი—ცალკე ჯარში მეთაურის სახსოვარი. ფასი 40 კ.

ნ. 429
25—4

სახელმწიფო ოპერა

დღეს, პარასკევს, 10 თებერვალს
პრემიერა ფოლჩანეცკაიას, პანტელეევის, დავიდოვი-მგალობლიშვილის, კავსაძის, მესნიაევის, დემიანენკოს მონაწილეობით
სილვა
დირიჟორობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი
შაბათს, 11 თებერვალს სანდრო დოლონაძის მონაწ. კარმენ

ნ. 599

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	მონოპოლურად პრემიერა გამოშვ. 28 წ. მოჯადოებული კუნძული
არფასტო	ამერიკის საუკეთესო მსახიობი ქალი ლეატრის ჯაი მხატვრულ შედევრში მუდამ უცხონი
სოლეი	სეზონის ახალი სურათი ბოქსიორი უნებლიეთ მთავარ როლში ცნობილი სპორტსმ. რიჩარდ ტალმეჯი
დარბაზი	საუკეთესო სურათი „ორში რომელი“ კარინა ალდინის მონაწილეობით
ოდეონ	უკანასკნ. თბილისში შ. ანჟელო და ფრ. ბერტინი მხატ. შედევრში მონტე კარლოს აღსასრული
პროლეტარი (ავლაბარში) 0—7	მსოფლიო შედევრი მხედალი

ანონსი ორშაბათიდან 13 თებერვლიდან „ქალი ბაზრობიდან“ საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმ.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის სააქციო საზოგადოება
„მკერავი“
აცნობებს აქციონერ-დამფუძნებელთ, რომ კვირას, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე „მკერავი“-ს ბინაზე, რეინიგერის ქუჩა № 5, შესდგება
აქციონერთა
საერთო კრება
დღის წესრიგი:
1) გამგეობის ანგარიში
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება
3) წმინდა მოგების განაწილება
4) არჩევნები
5) მიმდინარე საქმეები.
გამგეობა.
1386

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩაზე სახლი № 1, დანიშნულია 18 თებერვალს 1928 წ. დილის 12 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** ილია სვანიძის ქონების: შკაფების, მაგიდების, სარკის, სამოვრის და სხვების, შეფასებულების 103 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მყიდველთაგან, საფეიქრო-სინდიკატის ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 598

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 17 თებერვალს 1928 წ. დღის 12 საათზე ქალ. ჭიათურაში სახ. სასამართლოს შენობაში გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ილია იაკობის-ძე ბარსკის 4 ცალ საყურეს ბრილიანტი, ერთ ყელის ძიმს—მარგალიტი, ორი ბეჭედი—ოქრო, ერთი ბროშკა—ბრილიანტი, ერთი ბუმაჟნიკი—ვერცხლი, დაფასებულია ყველა 495 მან., დასაკმაყოფილებლათ ეფიმ გოლინკოს ვალის, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ა | ს. ოლქის სასამართლოსი 4 ივლისის 1928 წ. № 27681. 1384

სია იმ პირთა, რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტს“ არა სწორი მისამართების გამო.

სახელი და გვარი	რაოდენ.	ხელის მომწერის მოცემ. მისამართი
1. კორძაია გიორგი	1	ლორის-მელიქოვის № 11
2. ნაცვლიშვილი	1	ნორიოს შესახვევი № 10
3. მატარაძე	1	ჩუღურეთის ქ. № 21
4. რუხაძე	1	ჭავჭავაძის ქ. № 8
5. ბასილიძე კოლია	1	ვერის დაღმართი № 12
6. ბახტაძე ესტატე	1	სადგურის ქ. № 25
7. ადამია	1	თავისუფლების მოედანი 7
8. ქურხული ნინო	1	იორის ქ. № 4
9. ჭანტურია ანნა	1	სიონის ქ. № 30
10. ხაბურზანია ანნა	1	პლეხანოვის ქ. 119
11. ბარატინოვი	1	პლეხანოვის № 165
12. ჯალაგანიძეს	1	რეუტოვის ქ. № 29
13. წილოსანი გერონტი	1	ჩერქეზოვის ქ. № 47
14. ქავთელაძე	1	წყნეთ. ბ ცილკან. ქ. 15/11
15. შიშინაშვილი	1	ელისაბედის ქ. № 79
16. გეგეჭკორი ბათლომე	1	შავნაბადის ქ. 6
17. გერსამია ალექ.	1	ლისაგორის ქუჩა № 6

ზემოაღნიშნულ პირთ ვთხოვთ აცნობონ გაზ. „კომუნისტი-“ს ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი

გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიცია

კამოს ქუჩა, № 68 ტელ. 5—43.

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამარ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

აცხადებს, რომ 21 თებერვალს 1928 წელსა დილის 11 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩის მე-5 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა;** გაიყიდება ვლადიმერ დიმიტრის-ძე შავგულიძის ხის სახლი სამზარეულოთი, დახურული კრამიტით, № 1, აგებული საეზოვე მიწაზე, ზომით დაახლოებით 160 კვად. საჟენი— იროდი ჯალაღანიას ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 250 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც, ნ. 598

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიძსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოვის“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედნის კუთხე.

ექიმი ს. ი. ანდრეევა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან [illegible] 11—78

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—15

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—16

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზ. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25 - 2

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ნინო სევასტის ასული გველესიანის სახელზე, ჩ. გ. 1382

დავკარგე: ამ. | კავკასიის სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 6293 ლავრენტი გიორგისძე ტროყაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1375

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1087 ვასილ ზერეკიძეს სახელზე, ჩ. გ. 1378

დავკარგე: მონადირეთა კავშირის მოწმობა № 4353 მოცემული სენაკის მონადირეთა კავშირიდან გიორგი ივანესძე ყალიჩავას სახელზე ჩ. გ. 1380

დავკარგე აღრიცხვის ფურცელი ვანო პორფილესძე მაისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1366

დავკარგე: სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი № 1092 დათიკო მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1377

დავკარგე სამხედრო ნუსხა მოცემული მე-5 ქართ. მსროლელ ლეგიონიდან ილია სერგოსძე სახლთუშვილის სახელზე ჩ. გ. ნ. 598

დავკარგე: სამხედრო-სააღრიცხვო ბილეთი № 1666, მოცემული დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარის მიერ ალექსანდრე ალექსისძე ცავარელის სახელზე, ჩ. გ. 1385

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 25173 ნინა კუკუტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1387

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 16590 ნინო ტაბატაძის სახელზე, ჩ. გ. 1383

დავკარგე: 1927 | 28 წ. სავაჭრო სარეწაო მოწმობა (პატენტი) № 541 ფილხაზ ისხაკისძე აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1383

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 16975 მალხაზ ტოკლიკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1388

დავკარგე საქართველოს აზ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აგიტ. პროპ. განყოფილების გამგის მოწმობა № 10, საქართველოს აზ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრის წიგნაკი 39 და საკავშირო კომპარტიის (ბ) საკანდიდატო ბარათი № 21256 ლეფუსია ჯაფარიძის სახელზე ჩ. გ 1390

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 64